

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა



ქეთი ახალკაცი

**ხელშეკრულების შეწყვეტის და ხელშეკრულებიდან გასვლის
სამართლებრივი წინპირობები და შედეგები**

ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

ზამბახიძე თამარი

(ასოცირებული პროფესორი)

ქ.თბილისი

2019

ანოტაცია:

ნაშრომის აქტუალობა: ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები საფუძვლიან მეცნიერულ ანალიზს საჭიროებენ. აუცილებელია ამ ინსტიტუტთა თეორიული საფუძვლებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილების გაანალიზება, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა სამართლისა და სამართლის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული აუცილებელია იმ კუთხით, რომ კანონმდებელს საკითხთან დაკავშირებით უკეთესი წარმოდგენა შეექმნას, რაც ხშირ შემთხვევაში სამართალმცოდნეობასა და მის შემეცნებაზე დამოკიდებული, კანონმდებელი კი ვალდებულია იმოქმედოს, სსკ-ში არსებული, წმინდა ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრისათვის. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა პასუხგასაცემი: სახელშეკრულებო სამართლის ცნებები: ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა სინონიმურია, თუ ისინი სხვადასხვა სამართლებრივ კატეგორიას გამოხატავენ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი და ამოცანაა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების გაანალიზება და მათი მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა. ქართულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის რეგულირების დროს არსებული ხარვეზების განხილვა. განხილული თემების უცხოური კანონმდებლობასთან შედარება და აღნიშნული ინსტიტუტების ანალიზი. განხილული იქნება ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ხელშეკრულებაზე უარის თქმის ტერმინოლოგიური განმარტებები, სამართლებრივი შინაარსი და პრაქტიკისა და ლიტერატურის შედარების საფუძველზე გაანალიზებული იქნება მათი სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები.

კვლევის ობიექტი და საგანი ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების დახასიათებაა, მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, ხარვეზიანი მუხლების სწორი ინტერპრეტაცია, სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასება და რეკომენდაციების მიცემა კანონმდებლებისათვის.

კვლევის მეთოდების მხრივ გამოყენებულია კვლევისა და ანალიზის მეთოდი, ნორმატიული მეთოდი, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი და ემპირიული მეთოდი.

სარჩევი:

შესავალი	4
I. ტერმინოლოგიური ასპექტები.....	5
1. ხელშეკრულების შეწყვეტა	6
2. ხელშეკრულებიდან გასვლა/ ხელშეკრულებაზე უარი	7
3. ხელშეკრულების მოშლა.....	7
4. ხელშეკრულების ბათილობა	9
II. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულებაზე უარის სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები.....	10
1. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები	12
2. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები:	25
III. ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები.....	29
1. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი წინაპირობები	29
2. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები	33
IV. ხელშეკრულების მოშლის/შეწყვეტის და ხელშეკრულებაზე უარის/გასვლის მსგავსება და განსხვავება.....	34
V. სასამართლო პრაქტიკა.....	36
1. N1.....	36
2. N2.....	42
3. N3.....	50
4. N4.....	52
VI. ხელშეკრულების მოშლა და უარის მოწესრიგება უცხოური კანონმდებლობის მიხედვით	56
1. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.....	56
2. ევროპუსი სახელშეკრულებო სამართლის მიმოხილვა	58
3. გერმანული კანონმდებლობის მიმოხილვა	59
დასკვნა	61
გამოყენებული ლიტერატურა	65

შესავალი

ხელშეკრულებას კანონის ძალა აქვს, ამიტომ მისი დარღვევა ყოველთვის იწვევს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს. ხელშეკრულების შესრულება ხელშეკრულებითვე და კანონმდებლობით დაგენილი წესებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შეძენილი უფლებების განხორციელებას ნიშნავს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილას, თუ ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად არ სრულდება ხელშეკრულება, სახეზე გვაქვს მისი დარღვევა, რომელიც რიგ შემთხვევებში მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე მიდის. მაგრამ რა წინაპირობებია საჭირო ამისათვის ან როგორ შედეგებს იწვევს ეს ყველაფერი საკანონმდებლო მოწესრიგების ან მხარეთა შეთანხმების საგანია. უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ პროცესებს და შედეგებს მსოფლიო კანონმდებლობა განსხვავებულად უდგება, ქართული კანონმდებლობა, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად უპირატესად ვალდებულების შესრულებისკენ არის ორიენტირებული და შესაბამისად ვალდებულების შესრულებისკენ მიმართულ პროცედურებს უწესებს მხარეებს და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში მიდის ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოშლისაკენ. რაც შეეხება ანგლოამერიკულ სამართალს ძირითადად ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზრაურებაზეა ორიენტირებული.

მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის აღსანიშნავად ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულებაზე უარი, ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ ტერმინების ურთიერთგამიჯვნას უდიდესი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. მათი გამიჯვნა ძირითადად ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებების შესაფერის შედეგად. როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი შეიძლება იყოს ვალდებულების დარღვევა, როგორც ბრალეული ასევე არაბრალეული, შესაძლოა ვალდებულების დარღვევის გარეშე სურდეს ხელშეკრულების მხარეს ამ ურთიერთობის დასრულება, ხოლო შედეგების მიხედვით შესაძლოა მხარეთა შორის განხორციელდეს

რესტიტუცია ან მანამდე არსებულმა შესრულებამ შეინარჩუნოს ძალა. წორედ საფუძვლებისა და შედეგების მიხედვით ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის დარულების შეფასება და გადაწყვეტა.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავების დადგენა კიდევ უფრო აუცილებელია იმის გამო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტები ნაკლებად არიან ერთმანეთისგან გამიჯნულნი, და სწორედ ამის გამო სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები არასწორად იყენებენ ამ ცნებებს. სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში არეულია ამ ინსტიტუტების შესატყვისი ტერმინები. დასახელებული ინსტიტუტების ერთმანეთისგან გამიჯვნა უნდა მოხდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შეფასების შედეგად. აუცილებელია, დადგინდეს მეორადი უფლებების განხორციელების წინაპირობები და ყურადღება მიექცეს მხარეთა ინტერესებს.

როგორც აღინიშნა, დღესდღეობით უამრავ ხარვეზს ვხვდებით, როგორც კანონმდებლობაში ასევე პრაქტიკაში, ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის განხილვა, სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა და გაანალიზება. წინამდებარე ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული ხელშეკრულების დასრულების სამართლებრივ ინსტიტუტები: ხელშეკრულებიდან გასვლას და ხელშეკრულების მოშლას, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად, მათ შორის განსხვავებებს და მსგავსებებს, ხელშეკრულების დასრულებისათვის არსებულ პირობები და შედეგები, დასახული იქნება ხარვეზების გამოსწორების გზები, სასამართლო პრაქტიკისა და საზღვარგარეთის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე.

I. ტერმინოლოგიური ასპექტები

ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ისევე როგორც მისი სინონიმი ხელშეკრულების შეწყვეტა არის გვარეობითი ცნება. შედეგების მიხედვით უნდა განვასხვაოთ: 1. ხელშეკრულებაზე უარის თქმას უკუქცევითი ძალით (*ex tunc*-მოქმედებით), ანუ შეცილება 2. ხელშეკრულებაზე უარის თქმას *ex nunc*-მოქმედებით მიღებულის

რესტიტუციის ვალდებულებით და 3. ხელშეკრულების სამომავლოდ გაუქმებას რესტიტუციის გარეშე, ანუ ხელშეკრულების მოშლა. ხელშეკრულების მოშლას მეორე შემთხვევისაგან, რომელსაც გასვლად მოვიხსენიებთ, განასხვავებს სწორედ მიღებულის რესტიტუცია. მოშლის შემთხვევაში მხარეები არ აბრუნებენ მიღებულს. გასვლის შემთხვევაში კი აბრუნებენ. მოშლა ხანგრძლივი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, ქირავნობის ურთიერთობა, ან შრომითი ხელშეკრულება ანაცვლებს გასვლის უფლებას. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება სამომავლოდ, მიღებული შესრულების უკუქცევის გარეშე.¹

1. ხელშეკრულების შეწყვეტა

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის კლასიკური შემთხვევებია: ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით, დეკონირებით, ვალის პატიებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალდებულების შეწყვეტა კონფუზიით, მოვალის გარდაცვალებით, იურიდიული პირის ლიკვიდაციით.² ეს შემთხვევები პირდაპირ კანონმდებლობით არის მოწესრიგებული და მათი რეგულირებადი მუხლები მოქცეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 კარში, რომელიც დასათაურებულია, როგორც ვალდებულების შეწყვეტა. აღნიშნულ შემთხვევებში მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა სრულდება, ისე რომ სავალდებულო ხასიათის წინაპირობად არ გვაქვს რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა ანდა შეუსრულებლობა³. ყოვლივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად ტერმინს „ხელშეკრულების შეწყვეტა“ სამოქალაქო კოდექსშიც და პრაქტიკაშიც ვხვდებით ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სახეზეა რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევა. მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 661-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტას ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზს დადგენილ ვადაში, შესაბამისად მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემდეგ დგება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 871-ე მუხლის შესაბამისად: „მოვალეს

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, <http://www.gccc.ge>, ბოლო დამუშავება 24 მაისი 2016, გ. რუსიაშვილი, მუხლი 352.

² სსკ-ის 427-454 მუხლები

³ სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014. გვ.502

შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით“. ამ შემთხვევაში კი ხელშეკრულების შეწყვეტა გულისხმობს მომავალში სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას, ხოლო მანამდე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა და მის შესაბამისად შესრულებული ვალდებულებები და მიღებული სარგებელი ინარჩუნებს ძალას და არ იწვევს მხარეთა შორის რესტიტუციას.

2. ხელშეკრულებიდან გასვლა/ ხელშეკრულებაზე უარი

ხელშეკრულებიდან გასვლა ამ ტერმინით დასათაურებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 თავი და ამ თავის პირველივე მუხლში - 352-ე მუხლში ვხვდებით ტერმინს ხელშეკრულებაზე უარი. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე ნათელია ტერმინების „ხელშეკრულებაზე უარის“ და „ხელშეკრულებიდან გასვლის“ იდენტურობა. ეს ტერმინები გამოიყენება სწორედ მაშინ, როდესაც სახეზეა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. ამასთანავე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები ყოველთვის მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაკენ ანუ რესტიტუციისკენ. ერთი შეხედვით არ ჩანს პრობლემა სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულებაზე უარისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ტერმინოლოგიურ მოწესრიგასთან დაკავშირებით, მაგრამ აქაც ვხვდებით 399-ე მუხლს, რომელიც მოხსენიებულია, როგორც უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე. ამავე მუხლში ვხვდებით ტერმინს ”უარი თქვას ხელშეკრულებაზე“, რომელიც სამართლებრივი შედეგების მხრივ შესაძლოა არ ითვალისწინებდეს რესტიტუციას.

3. ხელშეკრულების მოშლა

ხოლო რაც შეეხება ტერმინს „ხელშეკრულების მოშლა“ მთელ სამოქალაქო კოდექსში და პრაქტიკაში არაერთმნიშვნელოვნად მოიხსენიება, მას გამოიყენებენ, როგორც ვალდებულების დარღვევის შემთხვევებში, ასევე ვალდებულების დარღვევის გარეშე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების აღსანიშნავად. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 555-ე მუხლის შესაბამისად: „საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია, ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე

მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამჭირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა, ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი“. ასევე სამქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის მიხედვით: „შემკვეთს შეუძლია, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი“. ამ შემთვევებში ფაქტია ტერმინი მოშლა მოხსენიებულია, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა ისე, რომ მანამდე შესრულებაზე არ ვრცელდება რესტიტუცია. ასევე ამ შემთვევებში ხელშეკრულების მოშლის წინაპირობად არ არის სავალდებულო ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობა რომელიმე მხარის მიერ. მაგრამ, ვხვდებით განსხვავებულ შემთხვევებსაც, ასეთია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „მყიდველს შეუძლია, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით“. ამ შემთხვევაში კი ხელშეკრულების მოშლა გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც ნამდვილად საკანონმდებლო ხარვეზია და ტერმინი მოშლა არასწორად გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის მაგივრად.

ტერმინი „მოშლა“ ასევე ნახსენებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლში. ამ მუხლში უარი ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულების მოშლა სინონიმებად არის გამოყენებული და ითვალისწინებს ისეთ შემთვევას, როცა პატივსადები მიზეზების გამო შესაძლოა ხელშეკრულება შეწყდეს, ისე რომ მხარეთა შორის რესტიტუცია არ განხორციელდეს. ლიტერატურაში 399-ე მუხლი მოხსენიებულია, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის განსაკუთრებული საფუძველი.⁴ რეალურად კი საქმე ეხება არა ხელშეკრულებიდან გასვლას, არამედ ხელშეკრულების შეწყვეტას კონკრეტული მომენტიდან, ისე რომ ხელშეკრულების შეწყვეტას უკუძალა არ აქვს. გამონაკლისია მხოლოდ ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, როდესაც შესაძლებელია უკვე შესრულებულზეც გავრცელდეს ხელშეკრულების შეწყვეტა. აქედან გამომდინარე აღნიშნული ინსტიტუტი ხელშეკრულებიდან გასვლას ნაკლებად ეხება, რის გამოც მისი ამ ინსტიტუტისადმი მიკუთვნება არასწორ ასოციაციებს იწვევს მკითხველში.

⁴ სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისის 2014. გვ.508

4. ხელშეკრულების ბათილობა

კიდევ ერთი ტერმინოლოგიური პრობლემა, რომელსაც ვხვდებით სასამართლო გადაწყვეტილებებში ეს არის ხელშეკრულების ბათილობის და ხელშეკრულების გაუქმების ერთგვაროვნად აღქმა. თუ გადავხედავთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ვნახავთ, რომ პრობლემა გამოიხატება მისი გაგების თვალსაზრისით, როგორც უბრალო მოქალაქეების ისე სამართალმცოდნეების მსჯელობაში. სასამართლო პრაქტიკაში ჩანს ამ ინსტიტუტის გაუმიჯნაობა ხელშეკრულებიდან გასვლას, ხელშეკრულების მოშლას და ხელშეკრულების ბათილობას შორის. მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში⁵ ვკითხულობთ კასატორის მსჯელობას: „... კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილად ცნობას სასამართლო წესით, და ეს იდენტურია რათქმაუნდა გაუქმებასთან“. რათქმაუნდა ეს მსჯელობა არასწორია, რადგან ბათილობის შემთხვევაში საქმე ეხება გარიგების საფუძვლის ბათილობას, ხოლო ხელშეკრულების გაუქმების დროს სახეზეა ნამდვილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის დასრულების საფუძვლები.⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც ვხვდებით ტერმინს „გაუქმება“ მაგალითად: სსკ. მუხლი 529 „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“; მუხლი 756 „ჯილდოს საჯარო დაპირების გაუქმება“; მუხლი 862 „ანგარიშის მფლობელის დავალების გაუქმება“; მუხლი 907 „კონტოკორენტის გაუქმება“; მუხლი 961 „საზიარო უფლების გაუქმება“. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, არსებითად ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლაა, რაზეც მეტყველებს ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის რესტიტუციული ვალდებულებები - დასაჩუქრებულის ვალდებულება დააბრუნოს ნაჩუქარი ნივთი. არსებითად იგივე შედეგები დგება სხვა ნახსენებ შემთხვევებშიც. ამგვარად, აღნიშნულ შემთხვევებში „გაუქმება“ თავისი არსით გულისხმობს ხელშეკრულებიდან გასვლას.

მოყვანილი მაგალითებისა და განმარტებების შესაბამისად ნათელი ხდება ამ ოთხი ტერმინის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-1001-1200-0825, თრილი: 24.03.2009.

⁶ სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014წ., ლევან ჯანაშია, 508 გვ.

ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ამ დროს ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას, ანუ ორივე მხარე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან და ეკისრებათ ორმხრივი რესტიტუცია: ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუბრინონ უკვე განხორციელებული შესრულება. ამ დროს ხდება ვალდებულების შესრულება ნატურით, ე.ი. მხარეები ფიზიკურად უბრუნებენ ერთმანეთს იმას, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. გარეგნულად ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულებიდან გასვლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, თუმცა მათ შორის განსხვავებაც მნიშვნელოვანია. ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნეგატიურია თავისი გაგებით, ხორციელდება ერთი - კეთილსინდისიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად, მაშინ როცა ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენის, ისე მხარეთა შეთანხმების შედეგად. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება ორმხრივი მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის ანულირებისთვის, რაც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან. გრძელვადიანი ურთიერთობების მიმართ კი გამოიყენება ძირითადად ხელშეკრულების მოშლა. ამ დასკვნებს ამყარებს ამ ინსტიტუტების წინაპირობების და სამართლებრივი შედეგების განხილვა, რასაც შემდეგ თავებში მიმოვიხილავ.

II. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულებაზე უარის სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, იგი აღმჭურველი უფლებაა და გამოიყენება მხოლოდ უკედურეს შემთხვევებში. საქართველოს სააპელაციო სასამართლო განმარტავს თუ რა არის აღმჭურველი უფლება: „განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს

სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. პირველადი მოთხოვნის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია.⁷ „ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არ არის ერთიანი მოსაზრება. ერთნი თვლიან, რომ მასზე არ ვრცელდება ვადა და გარკვეული წინაპირობებისა და საფუძვლების არსებობისას შეიძლება მივმართოთ ნებისმიერ დროს, თუ მხარეები ხელშეკრულებით სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ⁸. სხვა მოსაზრებით კი ხელშეკრულებიდან გასვლა ექვემდებარება ხანდაზმულობას და მასზე სსკ-ის 128.3-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა ვრცელდება.“⁹ კანონმდებლობა არ უშვებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის შემთხვევას, დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებიდან სრულად გასვა. თუ კანონმდებელი დაუშვბდა ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლებას, მაშინ რთული იქნებოდა ხელშეკრულების შეცვლის და ნაწილობრივ გასვლის ურთიერთგამიჯვნა, მეტიც მათი განსხვავება შეუძლებელია, რადგან ეს ორი შემთხვევა ზუსტად იდენტური იქნებოდა სამართლებრივი წინაპირობებისა და შედეგების კუთხით. როგორ წესი, ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენა მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ, მაგრამ გამონაკლისები ამ მხივაც არსებობს, მაგალითად: ნასყიდობის ხელშეკრულებისას, რომელიც ითვალისწინებს გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედში მიწოდებას, მართალია ამ დროს წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები და არის გრძელვადიანი თავისი შინაარსით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში მათზე სსკ-ის 486-ე მუხლის თანახმად მოქმედებს გასვლის უფლება.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-292-573-04, თარიღი: 22.07.2004.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე N ას-38 38-2018. 08/06/2018 წელი.

⁹ ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. ავტორი ნინო ფიფია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018 წ.

1. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით გასაზღვრულ წინაპირობებს, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ გასვლის უფლება გამომდინარეობდეს კანონიდან. ამ უფლებას შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შეთანხმება. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს სამოქალაქო სამართალში არსებული ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები. ამას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც, მაგალითად:

2000 წლის 22 ივნისს შპს „იასონსა“ და საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას შორის ერთი წლით გაფორმდა სალიცენზიო ხელშეკრულება №5/7, რომლითაც შპს „იასონმა“ იკისრა ვალდებულება, საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაერიცხა საავტორო ჰონორარი 80 ლარი. 2000 წლის 5 აგვისტოს შპს „იასონმა“ წერილით აცნობა ხელშეკრულების მეორე მხარეს იმის თაობაზე, რომ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით წყვეტდა სალიცენზიო შეთანხმების შესრულებას.

2001 წლის 22 ნოემბრიდან შპს „იასონმა“ განაახლა მუშაობა, თუმცა, ფინანსური ვალდებულებები საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების წინაშე არ შეუსრულებია. ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შეთანხმებული ჰქონდათ პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით.

მხარეებს ასევე შეთანხმებული (ხელშეკრულების 7.2. პუნქტი) ჰქონდათ ხელშეკრულების მოშლის (უარის) და შეცვლის პირობებიც. მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდებოდა კიდევ ერთი წლით, ვიდრე ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებდა მეორე მხარეს შეთანხმების მოშლის შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა იმ თარიღიდან, რომლიდანაც შეთანხმება ექვემდებარებოდა მოშლას.

მოსარჩელე საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება მოითხოვდა მოპასუხესაგან სახელშეკრულებო ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შპს „იასონს“ დააკისრა გადასახდელად 6 602 ლარი. მოპასუხე არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2001 წლის 22 ნოემბრიდან, იგი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ 2000 წლის 5 აგვისტოს წერილით მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყვეტილი იყო და, შესაბამისად, მას არ ეკისრებოდა თანხის გადახდის ვალდებულება. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეს საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნა: „სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი უბრუნდებათ მხარეებს... პალატა თვლის, რომ შპს „იასონის“ 2000 წლის 2 აგვისტოს წერილი არის ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულებიდან გასვლის წინადადება; ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და მოტივები შეიძლება განისაზღვროს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი საფუძვლები განსაზღვრულია სკ-ის 352-ე, 405-ე მუხლებით. ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები.

მოვალეს, ისევე როგორც კრედიტორს, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება...

მხარეებმა გამოიყენეს ხელშეკრულებიდან გასვლის წესის განსაზღვრის უფლება და ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში შეთანხმდნენ სალიცენზიო შეთანხმების მოშლის ან შეცვლის პირობებზე... მოპასუხეს მიერ გაგზავნილი შეტყობინება

ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მხარეს მიუვიდა და მას რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს...

შეთანხმება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ არის მხარეთა გარიგება და მასზე ვრცელდება ზოგადად ხელშეკრულების დადების წესები. მოპასუხეს მიერ გაკეთებულ ოფერტზე (ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ) მოპასუხეს დუმილი უნდა ჩაითვალოს აქცეპტად სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის შესაბამისად...

ვინაიდან მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ეცნობა 2000 წლის 7 აგვისტოს, ხელშეკრულება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, 7 სექტემბერს¹⁰.

მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ თეორია და პრაქტიკა ერთ გზაზე დგას და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და პირობები შესაძლოა არსებობდეს, როგორც მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ასევე კანონით გათვალისწინებული. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობებზე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ოღონდ ამ შემთხვევაში აუცილებელია იმ მესამე პირთა უფლებების უზრუნველყოფა, რომელთა მდგომარეობაც შეიძლება შეილახოს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ პირობებზე შეთანხმებისათვის კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას არ ითვალისწინებს. იმ ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზეც, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, მხარეები შეიძლება ზეპირად შეთანხმდნენ, ოღონდ გასვლა უნდა გაფორმდეს იგივე წესით, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებისათვის.¹¹

არ არის გამორიცხული, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოვალესაც ჰქონდეს. ასეთი შემთხვევები იშვიათია და მისი ყველაზე გავრცელებული მაგალითია დაუძლეველი ძალა, ე.წ. force-majeure, როდესაც მოვალეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

¹⁰ საქმე №ას-760-1396-03 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, ბიულეტენი №3, გვ. 614, 2004 წელი.

¹¹ ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 240.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილი გვამისამართებს სსკ-ის 405-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი საფუძვლები და წინაპირობებია:

1. ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს).
2. ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (არსებითი ხასიათისაა დარღვევა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულების ინტერესი და ა.შ.).
3. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა.
4. მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია, კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება.
5. ვალდებულების დარღვევისათვის მთლიანად და უმთავრესად კრედიტორი არ არის პასუხისმგებელი (მაგ. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა განაპირობა კრედიტორის მხრიდან საპასუხო მოქმედების განუხორციელებლობამ, მუხლი 369).
6. მოთხოვნას არ უპირისპირდება მოვალის შესაგებელი, რომელიც უკვე წარდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (მაგ. შესაგებელი ხანდაზმულობაზე ან ვალის გაქვითვაზე).
7. სახეზეა კრედიტორის მიერ შესრულებული იურიდიული მოქმედება - ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით

ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი - ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება ვადა - გაფრთხილება.

პირველ სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა შორის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს მაშინ საქმე ეხება შეცილების უფლებას ან უსაფუძვლო გამდიდრებას. გარიგების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს მოტყუება, ფორმის დაუცველობა, გარიგების ამორალური ხასიათი, ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგება და ა.შ. განსხვავება ამ ორ ინსტიტუს შორის ძალიან დიდია, პირველ რიგში სწორედ ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა და არ არსებობა განასხვავებს მათ, ამავდროულად გარიგების შეცილების ნაწილში დადგენილია სპეციალური ვადები, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლა ხანდაზმულობით არ არის შემოფარგლული.¹² შედეგების მხრივ კი გარიგების ბათილობისას მხარე, რომელიც ითხოვს ზიანს ვალდებულია დაასაბუთოს, რომ შეცილების საფუძველი წინასწარ არ იცოდა და რომ იგი მეორე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობას ენდობოდა. ასევე ზიანის ანაზღაურების ფარგლებიც განსხვავებულია ამ ორ ინსტიტუს შორის, გარიგების ბათილობისას ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მხარეს წარმოეშვა იმის შედეგად, რომ ენდო მეორე მხარის გამოვლენილი ნების ნამდვილობას. ანუ, ანაზღაურდება ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი“ (ნეგატიური ინტერესი) და არა გარიგების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.¹³ ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ის, გაუარესდა თუ არა დაზარალებული პირის ქონებრივი მდგომარეობა იმ მოქმედებების შედეგად, რაც მან გარიგების ნამდვილობისადმი ნდობის გამო განახორციელა, ან თავი შეიკავა განხორციელებისგან. შესაბამისად, ანაზღაურებადი ზიანი შეადგენს არამხოლოდ გაწეულ დანახარჯებს, არამედ ასევე მოგებასაც, რომელიც დაზარალებულმა პირმა იმის შედეგად დაკარგა, რაც გარიგების ნამდვილობისადმი ნდობის გამო სხვა გარიგებაში არ შევიდა.¹⁴ ხელშეკრულებიდან

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-1003-924-2017 გადაწყვეტილება. 01/12/2017 წელი.

¹³ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, გვ. 237.

¹⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, <http://www.gccc.ge>, ბოლო დამუშავება 9 მარტი 2016, თორნიკე დარჯანია, მუხლი 79.

გასვლისას კი ანაზღაურებადია ის ზიანიც, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობას მოჰყვა.

გარიგების ბათილობის შემთხვევაში ასევე საქმე გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრებასთან და არა ხელშეკრულებიდან გასვლასთან. გარდა გარიგების საფუძველისა, განსხვავება შედეგების მხრივაც არსებობს ამ ორ ინსტიტუტს შორის, კერძოდ უსაფუძვლო გამდიდრებისას ხდება მხოლოდ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ვითომ კრედიტორი უკან აბრუნებს მიღებულს და ამ დროს ზიანის ანაზღაურება არ ხდება. მიუხედავად ამ განსხვავებებისა სამწუხაროდ სასამართლო გადაწყვეტილებებშიც ვხვდებით ამ ორი ინსტიტუტის აღრევას. მაგალითად: საქმეზე №ას-222-521-04 საკასაციო ინსტანციამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები.

შპს „კავუნტექსსა“ და თ.მუხურაძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კომპანია ამ უკანასკნელს მშენებარე სახლში საკუთრებაში გადასცემდა ოთხოთახიან ბინას 2001 წლამდე, სანაცვლოდ ეს უკანასკნელი ჩააბარებდა კომპანიას თავის კუთვნილ ოთახნახევრიან ბინას, რითაც მას გადახდილად ჩაეთვლებოდა ასაშენებელი ბინის ღირებულება. მან კომპანიის მითითებით თავის კუთვნილ ბინაზე საკუთრების უფლება გადასცა ვინმე მ.ჯავახიშვილს, რომლის მეუღლემ სამშენებლო მასალები მიაწოდა „კავუნტექსს“ და ამ მასალის სანაცვლოდ გადაეცა მას მუხურაძის კუთვნილი ბინა. კომპანიამ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო მუხურაძისათვის ბინის აშენება. მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მუხურაძეს კომპანია გადასცემდა ხუთოთახიან ბინას 2001 წლის ბოლომდე. არც ეს შეთანხმება შეასრულა კომპანიამ. მუხურაძემ სარჩელით უარი თქვა „კავუნტექსთან“ და ჯავახიშვილთან დადებულ ხელშეკრულებებზე და მოითხოვა თავისი ბინის დაბრუნება. კომპანია დაეთანხმა ხელშეკრულებიდან გასვლაზე მოსარჩელეს, ხოლო ჯავახიშვილმა სარჩელი არ ცნო. მან მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობდა მისი მოშლის საფუძველი. პირველი ინსტანციის

სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიიჩნია სკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, 352-ე და 405-ე მუხლის პირველი ნაწილები.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის მოსაზრებები. საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყვეტილია, რადგან მყიდველი ღირებულებას არ იხდის, ხოლო გამყიდველი, სკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე, ითხოვს გადაცემული ნივთის დაბრუნებას. მითითებული ნორმით, ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად უნდა მოჰყვეს ქონების ნატურით დაბრუნება (რესტიტუცია).“

ამ საკითხს მთლიანად არეგულირებს სკ-ის 352-360-ე მუხლები. მიუხედავად ამისა, საკასაციო ინსტანცია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებსაც იშველიებს და აგრძელებს: „სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიმღებს - ვითომ-კრედიტორს, კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ეკისრება, დააბრუნოს ის, რაც უსაფუძვლოდ მიიღო... ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებისა, მოთხოვნის საფუძველად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სკ-ის 989-ე მუხლიც, რადგან ვითომკრედიტორისათვის ან მისი მითითებით სხვისთვის რაიმეს გადაცემისას კანონი ითვალისწინებს გადაცემულის უკან დაბრუნებას“¹⁵

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ნათელია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისას აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მეორე სავალდებულო წინაპირობა, რომლის არსებობისასაც შეუძლია მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ეს არის მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია მხოლოდ ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო ვალდებულების დარღვევა. თუ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარეს ხელშეკრულებიდან

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეებზე 2004 წელი, 16 გვ. 1352-1355.

გასვლის საფუძველი და შესაბამისად უფლება არ აქვს.¹⁶ კანონმდებლობა არ მიიჩნევს სავალდებულოდ ვალდებულების ბრალეულ დარღვევას, რადგან ტერმინი ბრალეულობა არ არის ნახსენები აღნიშნულ მუხლში. ამ დასკვნას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლიც, რომელიც მხარეებს აძლევს საშუალებას გავიდნენ ხელშეკრულებიდან თუ შეცვლილი პირობების შემთხვევაში ვერ შეთანხმდებიან ამ პირობებზე ხელშეკრულების მისადაგებაზე. ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი ასევე შესაძლოა იყოს ვალდებულების დარღვევა, თუ ამდროს დარჩენილი ნაწილის მიმართ კრედიტორმა ინტერესეი დაკარგა.

ვალდებულების დარღვევა კონკრეტულად გულისხმობს ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებას, ვალდებულების შეუსრულებლობას ან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას. ხელშეკრულებიდან გასვლისას აუცილებელია ადგილი ჰქონდეს ამ პირობათაგან ერთ-ერთს. სსკ სავალდებულოდ მიიჩნევს ვალდებულების მნიშვნელოვან დარღვევას. ტერმინოლოგიური კუთხით კი არ ხდება დაკონკრეტება თუ რა არის ვალდებულები არსებითი (მნიშვნელოვანი) დარღვევა და რა არის არაარსებითი (უმნიშვნელო) დარღვევა. არსებით დარღვევაზეა საუბარი „ვენის კონვენციაში სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“¹⁷, რომლის 60.1 მუხლის თანახმად: არსებითი დარღვევა არის ორმხრივი ხელშეკრულების მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი. არსებითია დარღვევა, თუკი ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია, ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა, როდესაც კრედიტორი მთლიანად ვალდებულების მიმართ დაკარგავს ინტერესს. არსებითია თუ უმნიშვნელო დარღვევა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რისი მოთხოვნის უფლება და რისი მოლოდინი ჰქონდა მხარეს ხელშეკრულების დადების დროს და რა მიიღო მან რეალურად, რა მიზანს ისახავდა მხარე ხელშეკრულების გაფორმებისას და რისი მოლოდინის უფლებას აძლევდა მას კანონი და ხელშეკრულებით გაწერილი პირობები. არსებითია თუ არა დარღვევა, ეს უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას სასამართლოს მიერ. შეფასება კი უნდა მოხდეს საქმის გარემოებიდან გამომდინარე. უმნიშვნელოა დარღვევა,

¹⁶ ძლიერიშვილი ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ. 141.

¹⁷ ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ. 1969. ხელმისაწვდომია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf>.

როცა ნივთის ნაკლის გამოსწორება შეიძლება უმნიშვნელო ზომების მიღების შედეგად, და ისეთი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც კრედიტორს არ აფიქრებინებს, რომ შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

არსებით დარღვევას განმარტავს გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციის 97 25-ე მუხლი: რომელიც არსებით დარღვევას უკავშირებს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც ერთი მხარე მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და გონიერი პიროვნება მის ადგილზე ანალოგიურ ვითარებაში ვერ გაითვალისწინებდა ამას.

მესამე სავალდებულო პირობა, ხელშეკრულებიდან გასასვლელად ეს არის შეტყობინების გაკეთება გასვლის თაობაზე. ამის ვალდებულებას ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი. ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის დასადგენად აუცილებელია დადგინდეს შეტყობინების გაგზავნის ფაქტი. ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება ეს აღმჭურველი განცხადებაა. შეტყობინება ცალმხრივი გარიგებაა, რადგან იგი ითვალისწინებს სსკ-ის 51.1,2.-ე მუხლში განსაზღვრულ პირობებს 1) ერთი მხარის ნების გამოვლენა¹⁵⁷ და 2) ნების გამოვლენის მიღების სამართლებრივი შედეგის დადგომა, რომლისათვისაც საჭირო არ არის მეორე მხარის ნების გამოვლენა¹⁸. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან სახეზეა ორი მხარე: ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირი და შესრულების უკან დაბრუნების მოვალე. კანონმდებლობის ამ დანაწესის შესაბამისად კანონი არ ადგენს შეტყობინების ფორმას, შესაბამისად მეორე მხარისათვის შეტყობინების გაკეთება შესაძლოა როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმითაც. სსკ-ის 357-ე მუხლი აკონკრეტებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულების რომელიმე მხარეს რამდენიმე მონაწილეა, ასეთ დროს აუცილებელია შეტყობინება გაკეთდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის

¹⁸სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ, ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., გვ. 506.

უფლება გაქარწყლება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება ქარწყლება ყველასათვის. თუ არ არის შეტყობინების ვალდებულება დაცული შედეგად აღნიშნული შესაძლოა ხელშეკრულებიდან გასვლის უარის თქმის საფუძველი გახდეს, თუ ამაზე მეორე მხარე მოახდენ აპელირებას. შეტყობინება მოშლის შესახებ თავისი ბუნებით არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად ნამდვილია მაშინ თუ მეორე მხარეს მიუვა. ხოლო მეორე მხარის მიერ მასზე თანხმობის გამოხატვა არ არის სავალდებულო.¹⁹ შეტყობინების ვალდებულების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლით დადგენილი შეტყობინების ვალდებულება და სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი დამატებითი ვადის ან გაფრთხილების მიცემა არ არის იდენტური ცნებები. 355-ე მუხლი ადგენს რომ გასვლის თაობაზე მეორე მხარეს უნდა განუცხადო, ხოლო 405-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა კი ვალდებულების შესულების ვადის ან გაფრთხილების განსაზღვრას გულისხმობს. ვადის დაწესებასა და შეტყობინებას შორის განსხვავება ისაა, რომ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ კრედიტორს მაინც შეუძლია მოითხოვოს შესრულება, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინებით წყდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რის შედეგადაც ხელშეკრულება დგება უკუქცევის რეჟიმში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის წესის განსაზღვრის უფლება აქვს მხარეებს. მათ შეუძლიათ განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლისას შეტყობინების გაგზავნის და მისი მიღების, როგორც პირობები ისე შედეგები. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეტყობინების შემდგომ რამდენ დღეში თუ თვეში იქნება შესაძლებელი ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ შემთხვევაში ვადის ათვლა იწყება შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან.

მე-4 წინაპირობა სსკ-ის 405-ე მუხლის ნეგატიურ პირობას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც მიუხედავდ ვალდებულების დარღვევისა არ შეუძლია მოითხოვოს

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის Nას-413-390-2014 გადაწყვეტილება.

კრედიტორმა ხელშეკრულებიდან გასვლა იმ საფუძვლით, რომ მოეთხოვება მეორე მხარის უფლებებისა და ქონების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა.

მეხუთე წინაპირობის შესაბამისად თუ კრედიტორს თავადაც მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში, მაშინ მას ერთმევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

მექვსე წინაპირობის შესაბამისად თუ მოვალეს აქვს ისეთი შესაგებელი კრედიტორის წინაშე, რომელიც უპირისპირდება კრედიტორის მოთხოვნას. ასეთი შესაგებელი ან წარდგენილი უნდა იყოს უკვე კრედიტორის წინაშე, ან შესაძლოა დაუყოვნებლივ წარადგინოს მოვალემ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე კრედიტორის შეტყობინების მიღებისთანავე. ამ შესაგებელში იგულისხმება შეცილება ან ისეთი საფუძვლიანი შედავება, რომელსაც შეუძლია გამორიცხოს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა.²⁰

მე-7 წინაპირობა კი ითვალისწინებს 405-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო დამატებითი ვადის ან გაფრთხილების მიცემის ვალდებულებას. ქართული სამართლის მიზანს წარმოადგენს ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის²¹, სწორედ ეს მიზანი აისახება სამოქალაქო კოდექსზე და გამოიხატება ვალდებულების დარღვევისას დამატებითი ვადის ან გაფრთხილების დაწესებაში. დამატებითი ვადის წინაპირობა არ არის აბსოლუტური, მისი განსაზღვრა არ ხდება როცა შესრულება შეუძლებელია და დამატებითი ვადის განსაზღვრა ფორმალურ ხასიათს ატარებს. დამატებითი ვადის დაწესება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იმედი არაა გადაწურული, რომ მხარე შესრულებას განახორციელებს და როდესაც შეიძლება ველოდოთ დამატებითი ვადის შედეგუნარიანობას. დამატებითი ვადის დაწესებით კრედიტორი კიდევ აძლევს ვადას მოვალეს ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე ვადის დაწესება არ გამოიყენება მაშინ კრედიტორი გაფრთხილებას აძლევს მოვალეს. სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული

²⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ. 509-510.

²¹ ზარანდია თ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი). თბ., 2002, გვ. 3.

ვალდებულების შესრულების კალენდარული ვადა შესრულება შეიძლება განხორციელდეს სურვილისამებრ, თუმცა კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში. მხოლოდ ამის შემდეგაა კრედიტორი ვალდებული გააფრთხილოს მოვალე, შესრულების ვადის დადგომის შესახებ და მხოლოდ დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების შემდეგაა უფლებამოსილი, გავიდეს ხელშეკრულებიდან. აღნიშნული ვადის ან გაფრთხილების გამოუყენებლობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდება. სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაშიც არ აწესებს სავალდებულო ფორმოს ვადის ანდა შეტყობინების დაწესებისათვის. აქაც ზოგადი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და თუ მხარეთა შეთანხმებით ან კანონით არ არის დადგენილი შეტყობინების სავალდებულო ფორმა მაშინ ასეთი შეტყობინება შესაძლოა გაკეთდეს, როგორც წერილობით ისე ზეპირად. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დავის შემთხვევაში ის მხარეა მოგებული, რომელიც დაადასტურებს თავის მოთხოვნებს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებით. შესაბამისად კრედიტორს მოუწევს იმის მტკიცება, რომ დაიცვა კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნა მოვალისათვის დამატებითი ვადის ან გაფრთხილების მიცემის თაობაზე, რის გამოც უმჯობესია ასეთი სახის შეტყობინება გაკეთდეს წერილობით მტკიცების ტვირთის მიზნებიდან გამომდინარე.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილების მიცემის გარეშე შეუძლია კრედიტორს გავიდეს ხელშეკრულებიდან, ასეთი შემთხვევებია: 1. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგეი არ ექნება. ამ დანაწესის გამოყენებისას ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა იქნას განხილული, თუ მხოლოდ დამატებითი ვადის დაწესებას ექნება ფორმალური ხასიათი და შედეგად ვალდებულების შესრულება არ იქნება სახეზე, მაშინ დამატებითი ვადის დაწესებით მხარეებს შორის დროის გაჭიანურებას აზრი არ აქვს. სწორედ ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება შესრულების შეუძლებლობა, რომელიც შემთხვევაშიც კანონმდებლობა პირდაპირ ხელშეკრულებიდან გასვლას უშვებს და არ აწესებს

დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებას.²² 2. ვალდებულება არ შესრულდა დათქმულ ვადაში და კრედიტორმა ხელშეკრულების გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრედიტორის მიზანი ვალდებულების დროული შესრულებაა, ანუ ხელშეკრულების მიხნის მთავარი განმსაზღვრელი არის ის ვადა, რა ვადითაც დაიდო ხელშეკრულება. ამის ნათელი მაგალითია საქორწილო კაბის ან/და დაბადების დღის ტორტის შეკვეთა.²³ 3. განსაკუთრებული საფუძვლიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით გამართლებულია ხელშეკრულების მოშლა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარე თანახმაა ხელშეკრულებიდან გასვლაზე, რის გამოც კანონმდებლობა კერძო ნების ავტონომიას ანიჭებს უპირატესობას და დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებით აღარ შემოსაზღვრავს მხარეებს. 4. ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გარეშე, შესრულების ვადის დადგომამდე, როდესაც არსებობს სერიოზული საფრთხე ვალდებულების დარღვევის და აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები. მაგალითად, თუ მოვალის მიმართ გაიხსნა საგაკოტრებო წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამატებითი ვადა უნდა იყოს გონივრული, რათა მოვალეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, შეასრულოს ვალდებულება. ვადის გონივრულობის მოთხოვნა ასევე ემსახურება კრედიტორის ინტერესებს, მით უმეტეს, როცა შესრულება კრედიტორის ინტერესში შედის. „გონივრული ვადა“ შეფასებითი კატეგორიაა. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებით. გონივრული ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. „კრედიტორი შებოჭილია დამატებითი ვადის გამოყენების ვალდებულებით, მაგრამ თავისუფალია ამ ვადის ოდენობის განსაზღვრაში“.²⁴

²² ზარანდია თ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი). თბ., 2002, გვ. 3.

²³ ჩაჩავა ს., სადისერტაციო ნაშრომი, მოთხოვნები და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თსუ. 2010, გვ. 43.

²⁴ ციტირებულია: მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 136-137.

დამატებითი ვადის დაწესება სასამართლოსადმი მიმართვამდე სავალდებულო წინაპირობაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მაგრამ ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით განსხვავებულ მოწესრიგებას, რომლის მიხედვითაც მხარეს დამატებითი ვადის დაწესების უფლებას ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილებით²⁵. ფრსკ-ის 1184.3 მუხლი ითვალისწინებს დამატებითი ვადის (შეღვათიანი ვადა – *délai de grâce*) დაწესებას. რა დროსაც გადაწყვეტილებას ემატება ფრაზა – შეუსრულებელი ხელშეკრულება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ითვლება გაუქმებულად²⁶. თუ ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო გარკვეული რიცხვისათვის და სარჩელის შეტანის დროს ეს რიცხვი უკვე გასულია, შეღვათიანი ვადა აღარ დაწესდება.²⁷

2. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები:

როგორც კანონით ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასვლის უფლება ადგენს რესტიტუციის უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ „გასვლა უკუაქცევს მხოლოდ ამ გაცვილელ შესრულებებს და არ ეხება ხელშეკრულებას, არ აქცევს მას რეტროსპექტიული ძალით არარსებულად, როგორც ეს შეცილების შედეგად ხელშეკრულების გაბათილების შეთხვევაში ხდება. ამის გამო გასვლას აქვს მხოლოდ ვალდებულებითი ძალა და არა სანივთო. ის ამთავრებს ხელშეკრულების მოქმედებას გასვლის გაცხადების მომენტიდან და ანიჭებს მხარეებს გაცემული შესრულების უკან მოთხოვნის ვალდებულებით უფლებას 352-ემუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად“.²⁸

ორმხრივი რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგია. ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება, ხოლო განხორციელებული ექვემდებარება დაბრუნებას. ამ პრინციპის მიზანია ხელშეკრულებიდან გასვლისას ყოველი მხარე აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში,

²⁵ Barry N. The French Law of contract, 2nd ed. Oxford, 2002.

²⁶ კოტივი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. II. დასახელებული ნაშრომი, გვ. 187.

²⁷ Raymond Y. English, French & German Comparative Law. Routledge, 2014. pp. 744.

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, <http://www.gccc.ge>, ბოლო დამუშავება 24 მაისი 2016, გ. რუსიაშვილი, მუხლი 352.

რომელშიაც იმყოფებოდნენ ხელშეკრულების დადებამდე. „კანონი არც ერთ მხარეს არ ანიჭებს უპირატესობას, იგი ამ საკითხს დემოკრატიულად წყვეტს იმისდა მიუხედავად თუ ვინაა ხელშეკრულებიდან გასვლის ინიციატორი. „ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი თავისი შინაარსით მხარის მხოლოდ მინიმალურ ინტერესს აკმაყოფილებს, ინტერესს, არ დაზარალდეს და აღიდგინოს ის მდგომარეობა, რაც ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობის წამოწყებამდე“²⁹. „³⁰

რესტიტუცია მატერიალური პასუხისმგებლობის სახეა, იგი ლათინური სიტყვაა (restituere) და აღდგენას, ანაზღაურებას, დაბრუნებას, დაფარვას, მოწესრიგებას ნიშნავს. რესტიტუცია გამოყენებული იქნა ადრეულ სამართალში დაბრუნების ან რაიმე საგნის თუ მდგომარეობის აღდგენის აღსანიშნავად. თანამედროვე სამართალში, ხშირად მას კომპენსაციის მნიშვნელობითაც იყენებენ.

რომის სამართალში რესტიტუციას გაუქმების სამართლებრივი ეფექტი ჰქონდა. რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა ბათილდებოდა. დროთა განმავლობაში ეს განმარტება შეიცვალა და დღეის მდგომარეობით საქართველოს სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული რესტიტუცია რომის სამართლის რესტიტუციისაგან განსხვავებით, მიმართული არ არის ხელშეკრულების გაუქმებისკენ (ასეთ ფუნქციას კანონით სასამართლო ასრულებს თავისი გადაწყვეტილებით), რადგან თუ გაუქმდა ხელშეკრულება, ის რის საფუძველზეც მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ რესტიტუციის უფლება, მაშინ მხარეებს მოთხოვნის საფუძველი აღარ ექნებათ. შესაბამისად ქართული სამართლის მიხედვით რესტიტუციის უფლების გამოყენებისას საეჭვო არ არის მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ნამდვილობა და არც ამ ხელშეკრულების ბათილობა არ დგება.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები. უფლება მოითხოვოს ის, რაც გადასცა მეორე მხარეს და

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-319-303-2011, თარიღი: 21.06.2011.

³⁰ ციტირებულია: ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. ავტორი ნინო ფიფია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018 წ. 82 გვ.

ვალდებულება უკან დააბრუნოს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღო. დაბრუნების მექანიზმი შემდეგნაირია უნდა დაბრუნდეს კონკრეტულად განსაზღვრული ქონება, ან მისი ღირებულება. კანონი არანაირ გამონაკლისს არ უშვებს და უფრო მეტიც, საწინააღმდეგო შეთანხმებას ბათილად მიიჩნევს. ამ უფლება-მოვალეობებს მხარეები ასრულებენ ერთდროულად ისინი ერთმანეთს ფიზიკურად გადასცემენ იმას, რაც ხელშეკრულების ფარგლებში მიიღეს. ეს ორმხრივი რესტიტუციის პრინციპია.

ზოგადად ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დგება სამი შედეგი:

- 1) ნატურით დაბრუნება;
- 2) ფულადი კომპენსაცია;
- 3) ზიანის ანაზღაურება.

ნატურით დაბრუნება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ფაქტობრივად შესაძლებელია. ქართული სამართლის მიხედვით მხარეს არ აქვს არჩევანის გაკეთების საშუალება ნატურით დაბრუნებასა და ფულად კომპენსაციას შორის, მან პირველ რიგში უნდა გამოიყენოს ნატურით დაბრუნება. ანუ ის შესრულება რაც მხარეებმა მიიღეს დააბრუნონ უკან. „ნატურით დაბრუნება მოიცავს ასევე მიღებული სარგებლის დაბრუნებასაც. სარგებლის ცნება 154-ე მუხლის მიხედვით მოიცავს ნივთისა და უფლების შემოსავალს, ნამატს, ანუ პირატესობას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მეორე მხარის ფულადი შესრულებით დაფარული საკუთარი ვალის პროცენტები. სარგებელი არ მოიცავს უშუალოდ ნივთის გაღების შედეგად მიღებულ უპირატესობას. ნივთის გაღების შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს ღირებულების ანაზღაურება ამ მუხლისმე-2 ნაწილის შესაბამისად. მიუღებელი სარგებლის ანაზღაურება ხდება 353-ე მუხლის მიხედვით. ნატურით რესტიტუცია არ გულისხმობს, გასვლის უფლების გამოყენების დამოკიდებულებას ამ რესტიტუციის შესაძლებლობაზე. გასვლის უფლების მქონეს შეუძლია მოითხოვოს გაცემული შესრულება მაშინაც კი, როდესაც ის მიღებულ შესრულებას ნატურით ვერ აბრუნებს. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც

მიღებული ნივთი გასვლის უფლების მქონე პირმა შეგნებულად გაანადგურა. თუმცა ამ შემთხვევაში მას ეკისრება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.³¹

ფულადი კომპენსაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება, მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს ანდა მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა. ფულადი ანაზღაურების გამოყენებაც გამორიცხება იმ შემთხვევაში, თუ ა) საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა; ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა; გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.³²

ზიანის ანაზღაურების ნაწილში მნიშვნელოვანია იმის განმარტება, რომ ზიანის ანაზღაურება ამ შემთხვევაში არის ხელშეკრულებიდან გასვლი შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგი და არა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი. რაც იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად თუ მხარემ არ დააბრუნა მიღებული შესრულება სწორედ ამ დროს შეუძლია მოითხოვოს კრედიტორმა ზიანის ანაზღაურება. ეს განმარტება გამმდინარეობს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ზოგადად ხელშეკრულებიდან გასვლის გამო გამორიცხულია დამდგარი ზიანის ანაზღაურება.³³ უნდა განიმარტოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დამდგარი ზიანიც ანაზღაურებადია სსკ-ის 394 მუხლის მიხედვით, ანუ ის ზიანი რაც გამოწვეულია იმ ვალდებულების დარღვევით,

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, <http://www.gccc.ge>, ბოლო დამუშავება 24 მაისი 2016, გ. რუსიაშვილი, მუხლი 352.

³² ქოჩიაშვილი ა. სტატია: „ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითხები ქართული სამართლის მიხედვით. // ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. მე-2 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 58.

³³ ბერიშვილი ქ. ინტერნეტ სტატია _ ხელშეკრულების შეწყვეტა VS ხელშეკრულებიდან გასვლა ქართული კანონმდებლობისა და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. www.legalclinic.iliauni.edu.ge

რაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი გახდა³⁴. და ამავდროულად ანაზღაურებადია ის ზიანიც, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულები შეუსრულებლობას მოჰყვება.³⁵ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ კრედიტორს ვალდებულების ბრალეულად დარღვევით ზარალი მიადგა. ზიანის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით ხდება, რაც ზიანის ანაზღაურებისათვისაა საკმარისი.³⁶

ზემოთ მოყვანილი წესები არის ზოგადი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ წესებს გვთავაზობს, მაგალითად 938-ე მუხლი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია, არა ვალდებულები დარღვევის შედეგად არამედ პატივსაღები მიზეზების არსებობისას, შედეგების მხრივ კი ზოგადი წესის შესაბამისად ამ დროსაც ხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, მაგრამ შესაძლოა განსხვავებული წესიც დაადგინონ მხარეება, კერძოდ, ერთი მონაწილე გავიდეს ხელშეკრულებიდან და მან მიიღოს თავისი წილის კომპენსაცია.

III. ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები

1. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთი რომელიმე კონკრეტული მუხლი არ გვთავაზობს ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ წინაპირობებს და შედეგს, მათი დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა ნორმების ანალიზიდან, რომელთა მიხედვითაც შეილება გამოვეყოთ ხელშეკრულების მოშლის შემდეგი წინაპირობები:

³⁴ ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008, გვ. 160.

³⁵ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009. გვ. 31.

³⁶ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2014. გვ. 516.

1. კანონით დადგენილი ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული მომლის სპეციალური ვადის დაცვა (ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისი);
2. პატივსაღები მიზეზების არსებობა ან ვალდებულების დარღვევა;
3. შეტყობინება მეორე მხარის წინაშე.

ხელშეკრულების მომლის წინაპირობა შეიძლება იყოს ხელშეკრულებით დათქმული (ან კანონით პირდაპირ მითითებული) ვადის გასვლა. თუ ვადა არ არის დადგენილი ერთ-ერთი მხარის მიერ განცხადების წარდგენით - რეგულარული მომლის გზით, ან ვადამდე პატივსაღები საფუძვლის არსებობისას არარეგულარული მომლის გზით. ხელშეკრულების მომლის საფუძველი შესაძლოა არსებობდეს, როგორც კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილი ასევე მხარეთა მიერ გათვალისწინებული, რაც ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, აქაც კერძო ავტონომიის გამოვლინებაა.

ხელშეკრულების მომლის წინაპირობებიდან პირველ რიგში ყურადღება ექცევა ვადას, რომელიც სპეციალურია რიგი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. სსკ-ის 561-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მომლის ვადა სამ თვეს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება, ამის შესახებ შეტყობინებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ხოლო პატივსაღები საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება აღნიშნული სამი თვის ვადის დაუცველად სსკ-ის 399-ე მუხლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მომლის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა, ისე რომ საჭირო აღარ არის მომლისათვის კანონით განსაზღვრული სპეციალური ვადის დაცვა. ქირავნობის ხელშეკრულების მომლის პატივსაღებ მიზეზებად ასევე გვევლინება შემთხვევები:

- თუ დაქირავებული ფართის გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დამქირავებლის ან ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას;

- თუ დამქირავებელი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ დამქირავებელს, და შესთავაზებს გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმა იქნება ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი;
- თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას;
- თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში.

თხოვების ხელშეკრულების მოშლისათვის პატივსედები საფუძველია მონათხოვრის გარდაცვალება ან გამნათხოვრებელისათვის გათხოვებული ნივთის საჭიროება.

სსკ-ის 747-ე მუხლის შესაბამისად: საშუამავლო ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს რაიმე ვადის დაუცველად, თუკი ხელშეკრულების ვადა არ იყო განსაზღვრული.

სსკ-ის მიხედვით: თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ათი წლის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს საიჯარო ურთიერთობა ამ კოდექსის 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულებით.

მოყვანილი მუხლები მოწმობენ, რომ რიგ შემთხვევებში დადგენილია სპეციალური ვადები ხელშეკრულების მოშლისათვის, მაგრამ გამონაკლისის სახით შესაძლოა პატივსაღები საფუძვლის არსებობისას ამ ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლა. ზოგ შემთხვევაში, კი ამ ვადების დაუცველად ან და ამ ვადების დაცვით შესაძლოა ვალდებულების დარღვევის საფუძველით ხელშეკრულების მოშლა.

ყველა შემთხვევაში სავალდებულოა ხელშეკრულების მოშლის შესახებ მეორე მხარის წინაშე განცხადების გაკეთება. არის შემთხვევები სასმართლო პრაქტიკაში, როდესაც სასმართლო უარს ეუბნება მოსარჩელეს იმ საფუძველით, რომ მას არ გაუკეთებია მეორე მხარისათვის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე განცხადება. შესაბამისად ამ სავალდებულო წინაპირობის დაცვა აუცილებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული ტერმინი ხელშეკრულების შეწყვეტაც სწორედ იმავე წინაპირობებს ითვალისწინებს რაც დადგენილია ხელშეკრულების მოშლისათვის, მაგალითად სსკ-ის მუხლი 562. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები მიზეზების არსებობისას

1. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.

2. პატივსადებია მიზეზი, თუ:

ა) დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ) გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისათვის;

გ) დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას;

დ) დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

3. თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

ყურადღება უნდა მიექცეს სსკ-ის 661-ე მუხლის, რომლის შესაბამისადაც:

1.თუ ტურისტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა 659-ე მუხლში მითითებული ხარვეზის გამო, მას შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთივე წესი გამოიყენება მაშინაც, თუ

მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობაში საპატო მიზეზით, რომლის შესახებაც იცის მოგზაურობის მომწყობმაც.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ან ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესებით.

ამ მუხლის შინაარსი მნიშვნელოვნად ემსგავსება ხელშეკრულების მოშლას, რადგან ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობად გვევლინება 405-ე მულით გათვალისწინებული პირობები, მაგრამ შედეგების მხრივ ხელშეკრულების შეწყვეტისას მანამდე მოგზაურობის მომწყობის მიერ გაწეული მომსახურება ექვემდებარება ანაზრაურებას, რაც სწორედ ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ შედეგებს ადგენს.

საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის, 2002 წლის 12 სექტემბრის გაჩინება, საქმეზე 3კ/672-02, სადაც უზენაესი სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მოშლისას როდესაც საფუძველი არის პატივსადები მიზეზები, საერთოდ არ არის სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენება მიზანშეწონილი მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო.

2. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები

ზოგადი წესის მიხედვით, ხელშეკრულების მოშლის რეჟიმი მხარეების მიერ უკვე განხორციელებულ შესრულებას არ ეხება, მხარეებს არ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას, სამართლებრივი შედეგები დგება არა თავიდან, არამედ – შეწყვეტის მომენტისთვის, შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებულნი, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება ან/და მიღებული სარგებელი. გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელშეკრულებიდან გასვლის

სამართლებრივი შედეგი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის სახით გამართლებული არ შეიძლება იყოს არც ერთი და არც მეორე მხარისთვის. ხელშეკრულების მოშლას ეფექტი აქვს მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ. დაუშვებელია ყველა წარსულში განხორციელებული შესრულების იგნორირება, ამიტომაც წმინდა პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოშლას, როგორც წესი უკუძალა არ აქვს. თუმცა არსებობს გამონაკლისი, რომელსაც სსკ-ის 399-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს. ხელშეკრულების შეწყვეტას შეიძლება მიეცეს უკუძალა, თუკი შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისთვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა ამ შესრულებაზეც შეიძლება გავრცელდეს.

IV. ხელშეკრულების მოშლის/შეწყვეტის და ხელშეკრულებაზე უარის/გასვლის მსგავსება და განსხვავება

ხელშეკრულების მოშლის/შეწყვეტის და ხელშეკრულებიდან გასვლის/უარის სამართლებრივი წინაპირობებიდან ვალდებულების დარღვევა არის ის საერთო საფუძველი, რაც ამ ინსტიტუტების მსგავსებას განაპირობებს, ორივე შემთხვევაში აუცილებელია დარღვევა იყოს მნიშვნელოვანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა, ისე ხელშეკრულებიდან გასვლა არ არის დამოკიდებული „ბრალეულობის პრინციპზე“, ანუ შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა, იმისგან დამოუკიდებლად ბრალეულია თუ არა ხელშეკრულების დამრღვევი მხარე. ორივე შემთხვევაში სავალდებულოა მეორე მხარის წინაშე გაკეთდეს განცხადება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესახებ. განმასხვავებელი წინაპირობაა დამატებითი ვადის დაწესება, მაგრამ ამ წინაპირობას გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ტურისტული მოგაურობის ხელშეკრულების შეწყვეტა. შედეგების მხრივ ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაზე უარის დროს ყოველთვის პირვანდელი

მდგომარეობის აღდგენას აქვს ადგილი, ხოლო ხელშეკრულების მოშლისას ზოგადი წესის მიხედვით მანამდე შესრულება რჩება ძალაში და ინტერესი მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულების მიმართ იკარგება.

ხელშეკრულების მოშლისას, ისევე როგორც გასვლისას, წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა, სუბიექტური უფლებები და მოვალეობები, „სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება - ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში“.³⁷ ხელშეკრულების მოშლა ორიენტირებულია მომავალში შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში და მისი ფუნქციაა შესრულებაზე მომავალში უარის თქმა.³⁸

გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთი წინაპირობა, რასაც სსკ-ის 399-ე მუხლი აწესებს, არის პატივსაღები საფუძვლის არსებობა. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლელ მხარეს მხოლოდ მეორე მხარისთვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლა. ვადის დაწესების გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებს განსაზღვრავს სსკ-ის 405 მუხლის მეორე ნაწილი. ხელშეკრულებიდან გასვლისას საინტერესოა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევა, როდესაც მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებიდან გავიდეს დაუყოვნებლივ. შესრულების შეუძლებლობა როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია იყოს ობიექტური, სუბიექტური თუ ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული. ვადის დაწესების გარეშე გასვლა ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში.

³⁷ ციტირებულია: თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი, დასახელებული ნაშრომი (სტატია).

³⁸ მაჭარაძე მ., სამაგისტრო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, თბ., 2008. გვ 147-148

მათი სამართლებრივი ხასიათის გათვალისწინებით, გარკვეულწილად შესაძლოა მსგავსება დავინახოთ შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლასა და გრძელვადიანი ხელშეკრულების პატივსადები საფუძვლით მოშლისას. ორივე შემთხვევაში იქმნება ისეთი გარემო, რომ მხარეს აღარ შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ხოლო დამატებითი ვადის დანიშვნა აზრს კარგავს, ვიადან დამატებითი ვადის დანიშვნის მიზანი ვალდებულების შესრულებაა, მოცემულ შემთხვევაში კი შესრულების პერსპექტივა აღარ არსებობს.

გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის აუცილებელია შეტყობინება მიუვიდეს მეორე მხარეს, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს, რომ აუცილებელია ხელშეკრულების რომელიმე მხარის მხრიდან ადგილი ჰქონდეს ვალდებულების შეუსრულებლობას ან/და ხელშეკრულების დარღვევას. აღნიშნულით უბრალოდ მხარეები გამოხატავენ, რომ მათ აღარ სურთ შემდგომი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

ხელშეკრულების მოშლისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვერ განხორციელდება, თუ არ არის სახეზე ვალდებულების დარღვევა. გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლისთვის ვალდებულების დარღვევა არ არის ერთადერთი წინაპირობა, რასაც ვერ ვიტყვით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე. აღნიშნული შემთხვევა ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

V. სასამართლო პრაქტიკა

1. N1

საქმე №ას-459-438-2015, 07/10/2015 წელი, ქ.თბილისი, სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა:

ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავეიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი – შპს „ბ.-ი პ.-ა“ (მოპასუხე)

შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი – შპს „M“ (მოსარჩელე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება

კასატორების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება

დავის საგანი – ფულადი ვალდებულების შესრულება

სამოქალაქო საქმე შეეხება შპს „M-ის“ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე, შპს „ბ.-ი პ.-ის“ მიმართ და მოითხოვა:

ა) ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარის;

ბ) „ბეს“ ორმაგი ოდენობით – 20,000 აშშ დოლარის;

გ) ზიანის სახით, მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის;

დ) ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის – 118,575 აშშ დოლარის (წელიწადში 22,950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1,912.5 აშშ დოლარი);

ე) პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარისა და

ვ) იმ შემოსავლის ანაზღაურების, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით), გადახდის დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ბ.-ი პ.-ას“

მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ.ბ.-ში, ქ.-ის ქ.№5-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170მ²) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ძირითადი ხელშეკრულება. მოსარჩელის მითითებით, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ქ.-ის, ისე, ბ.-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სართულების დონეზე – ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალურ მახასიათებელსა და მოსარჩელის მხრიდან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების მთავარ ინტერესს წარმოადგენდა. ამ ფართში მოსარჩელეს დაგეგმილი ჰქონდა ერთ-ერთი ბრენდის – „K.--ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური, პრესტიჟული ობიექტის მოწყობა. მოპასუხემ, კომერციული ფართის ფაქტობრივი მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე და მისივე ინტერესების საზიანოდ, გააუქმა ფართში შესასვლელი ბ.-ის ქუჩიდან, აგრეთვე, გააუქმა საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე, რითაც კომერციულმა ფართმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება, პოტენციურ მომხმარებელს შეეზღუდა ობიექტში თავისუფლად მოხვედრის, გამოფენილი ნიმუშების დათვალიერების შესაძლებლობა და სარეკლამო სივრცე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ვერ მიიღო 459,000 აშშ დოლარის სარგებელი, რასაც მიიღებდა მინიმალური წლიური 5%-იანი საბანკო პროცენტის სახით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბ.-ი პ.-ას“ შპს „M-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი

გადაწყვეტილება, შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისრა შპს „M-ის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისრა შპს „M“-ის სასარგებლოდ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების - 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 28,917 აშშ დოლარის გადახდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და აწესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ეს საგამონაკლისო უფლება გამოიყენა მყიდველმა, შესაბამისად, ამ ქმედების განხორციელებით ხელშეკრულების მონაწილეთა შორის წარმოიშვა ახალი ვალდებულება: მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნების შესახებ ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ბ.-ი პ.-ას“

წარმოუშობს მიღებული თანხის - 459,000 აშშ დოლარის (10,000 აშშ დოლარისა და 449,000 აშშ დოლარის ჯამი) უკან დაბრუნების ვალდებულებას და ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლებით. პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მეორე შემთხვევაში, მისი ოდენობის შემცირების მართლობიერებასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ პირველ რიგში, ყურადღება გამახვილა პირგასამტეხლოზე, როგორც ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვის მქონე მექანიზმზე, ასევე, განცდილი ზიანის ანაზღაურების მოქნილ ინსტრუმენტზე. საკასაციო პალატის განმარტებით: ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად. საკასაციო პალატამ ერთიმეორისაგან გამიჯნა კანონისმიერი და სახელშეკრულებო პირგასამტეხლო. პალატის განმარტებით, კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მამასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ - გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით). მოცემულ საქმეზე ვინაიდან ხელშეკრულებაში არსებობდა ამგვარი წერილობითი ჩანაწერი საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ამიტომ მისი მხარისათვის დაკისრება მართლობიერად მიიჩნია. ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ უპირველესად, შეაფასა ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატის განმარტებით ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა) და ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატის განმარტების საგანი გახდა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასევე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმით დადგენილ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, სწორედ იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. პალატის განმარტებით, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა

ანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ 459,000 აშშ დოლარის საკრედიტო დაწესებულებაში ანაზღაურება განთავსების შემთხვევაში, იგი მიიღებდა შემოსავალს წლიურ 5%-ს პროცენტის სახით, საკასაციო პალატამ, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მოცემული საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მყიდველს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაზღაურება განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. შესაბამისად, არ დადასტურდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

2. N2

საქმე №28/2867-13, 17/12/2013 წელი, სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები - ნათია გუჯაბიძე, ლილი ტყემალაძე

აპელანტი – შპს „თ. ქ.“

მოწინააღმდეგე მხარე – ო. ნ.

დავის საგანი – ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 13 ივნისს ო. ნ.-ს და შპს „თ. ქ.-ს“ შორის ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ო. ნ.-მ 20 წლის ვადით სარგებლობაში 27,38 კვ.მ. ფართი მიიღო. დამქირავებელს გამქირავებლისათვის ყოველთვიურად თითოეულ კვადრატულ მეტრზე საიჯარო გადასახადის სახით არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) ევროს ექვივალენტი ვალუტაში უნდა გადაეხადა. ამავე ხელშეკრულების თანახმად, დამქირავებელმა გამქირავებლისაგან მიიღო დაქირავებულ ფართზე ქირავნობის უფლების მესამე პირებზე გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემისა და ქვექირავნობის უფლება, რისთვისაც დაქირავებული ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრში 1300 ევროს ეკვივალენტი ლარებში გადაიხადა. წლის 13 ივნისის ქირავნობის ხელშეკრულება.

ო. ნ.-მ შპს „თ. ქ.-ს“ გადაუხადა 35 218,80, რომელიც 2008 წლის 13 ივნისის ხელშეკრულების 1.2 და 2.3 პუნქტების მიხედვით, დაქირავებულ ფართზე ქირავნობის უფლების მესამე პირებზე გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემისა და ქვექირავნობის უფლების საფასურს წარმოადგენს.

მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ ო. ნ.-მ შპს „თ. ქ.-ს“ 35 218,80 ევრო გადაუხადა. პალატა 2008 წლის 13 ივნისის ხელშეკრულების, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ ო. ნ.-ს მიერ შპს „თ. ქ.-სათვის“ გადახდილი თანხა 2008 წლის 13 ივნისის ხელშეკრულების 1.2 და 2.3 პუნქტების მიხედვით, დაქირავებულ ფართზე ქირავნობის უფლების მესამე პირებზე გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემისა და ქვექირავნობის უფლების საფასურს წარმოადგენს. პალატა ვერ გაიზიარებს ო. ნ.-ს მითითებას მასზედ, რომ მითითებული თანხა წინასწარ გადახდილი 2 წლის ქირაა. აღნიშნული მტკიცება იმთავითვე წინააღმდეგობრივია, ვინაიდან თვით მოსარჩელის განმარტებით, იგი ყოველთვიურად მიმდინარე თვის ქირასაც იხდიდა. უფრო მეტიც, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოსაზრების გათვალისწინება, სამართლებრივი თვალსაზრისით, გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას სრულად გამორიცხავს, ვინაიდან ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში შპს „თ. ქ.“ და ო. ნ. სახელშეკრულებო ურთიერთობაში იყვნენ და გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა ორმხრივ რესტიტუციას, კერძოდ, უკვე შესრულებულის უკან გამოთხოვას არ ითვალისწინებს, ვინაიდან მხარეებმა ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მისი მოქმედების ფარგლებში ორმხრივი სარგებელი მიიღეს. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის დროს გაწეული შესრულება, მოცემულ შემთხვევაში, გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას შეიძლება დაექვემდებაროს, თუ გადახდა წინასწარ განხორციელდა და იმ პერიოდსაც მოიცავს, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღარ შედის. თუმცა, ამგვარი სამართლებრივი წესრიგის დასამყარებლად, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის წინასწარ გადახდილი თანხის უკან დასაბრუნებლად, აუცილებელია, რომ ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულების მართლზომიერ, კანონის შესაბამის შეწყვეტას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ

შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა მართლზომიერად იქნება მიჩნეული, თუ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა განპირობებულია პატივსადები საფუძვლით. პატივსადები საფუძვლის ნორმატიულ განმარტებას თავად დასახელებული ნორმა შეიცავს და ამბობს, რომ საფუძველი პატივსადებია, თუ სახეზეა დაუძლეველი ძალა ან სხვა რაიმე ორმხრივი და არა ცალმხრივი ინტერესი, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ცალმხრივი ინტერესით არის განპირობებული, ასეთ შემთხვევაში მხარეს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება უნდა მოეთხოვოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე მაინც წყვეტს სახელშეკრულებო ურთიერთობას, აღნიშნული შეწყვეტით მეორე მხარეს ზიანი არ უნდა მიადგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის წინასწარ განხორციელებული შესრულება უკან არ უნდა დაბრუნდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესრულება წინასწარ განხორციელებული არ არის, ასეთ შემთხვევაში მხარეს არამართლზომიერად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლით დაკარგული შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ზიანი, რომელიც, თავისი არსით, არამართლზომიერად შეწყვეტილი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის მისაღები შესრულებაა. გრძელვადიან ურთიერთობაში მხოლოდ ერთი მხარის ინტერესით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებში წინასწარ გადახდილი შესრულება უკან დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეწყვეტით ზიანს არ განიცდის, მაგალითად, როდესაც, დამქირავებელი გამქირავებელს სხვა მისთვის მისაღებ დამქირავებელს შესთავაზებს, რომელიც ქირავნობის ურთიერთობას იგივე პირობებით, კერძოდ, იგივე ვადით, ანაზღაურებით და ა. შ. გააგრძელებს. მოცემულ შემთხვევაში, ო. ნ.-ს ნაცვლად ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში ო. ნ.-ს მიერ დაფუძნებული შპს „ი.“ შევიდა, ამ უკანასკნელმა ყველა ის უფლება მიიღო, რისი უფლებაც ო. ნ.-ს ქირავნობის

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჰქონდა. ასეთ ვითარებაში კი ო. ნ.-სათვის იმ თანხის უკან დაბრუნება, რა თანხითაც მან ის უფლებები შეიძინა, რომლითაც შპს „ი.“ უსასყიდლოდ სარგებლობს, მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას. ამგვარი ვითარების დაშვების შემთხვევაში, ნებისმიერი დამქირავებელი დაიქირავებს ფართს, გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ მოიპოვებს შეუზღუდავი, უპირობო ქვექირავნობის უფლებას, შემდეგ თავის ყველა მოთხოვნას მის მიერ დაფუძნებულ კომპანიას გადასცემს, ხოლო თავად გადახდილ თანხას უკან დაიბრუნებს, ისე, რომ მის მიერ დაფუძნებულ კომპანიას უფლება უსასყიდლოდ მოპოვებულად ჩაეთვლება.

პალატა მიიჩნევს, რომ მხარეები ხელშეკრულებით იმთავითვე შეთანხმდნენ ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის სამართლებრივ შედეგებზე, კერძოდ, 2008 წლის 13 ივნისისა და 2010 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულებები შეიცავს იდენტურ დებულებებს, კერძოდ, მითითებული ხელშეკრულებების მე-5 პუნქტის მიხედვით, დამქირავებლის მიერ ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუკი იგი არ ისარგებლებს ქვექირავნობის ან უფლებამონაცვლეობის უფლებით, მას არ ექნება გამქირავებელთან არანაირი ფინანსური პრეტენზია. ამდენად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეებმა ხელშეკრულებითვე დაარეგულირეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად, პალატა თვლის, რომ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას თვით ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მხარეთა ერთობლივი ნება გამორიცხავს.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სახელშეკრულებო სამართალურთიერთობა ნების ავტონომიის პრინციპს ეფუძნება, ამდენად, კონტრაქტორი მხარის

დასაბუთებული ინტერესის და კანონისმიერი ბოჭვის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც აქვთ ცალმხრივად მოქმედების შესაძლებლობა. პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების გამოვლინებაა არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა, კონტრაგენტის არჩევა და ა.შ. არამედ, ცალმხრივად, ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების შეწყვეტა. მითუმეტეს სახელშეკრულებო თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას იყენებს იმ პირობებში, როდესაც მეორე მხარე ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებს, ანუ როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტას ადგილი არ აქვს მეორე მხარის მხრიდან ვალდებულების დარღვევის საფუძვლით. ასეთ ვითარებაში კეთილსინდისიერ კონტრაგენტს ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარის მიმართ წარმოეშობა ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ერთადერთი გარემოება, რაც აღნიშნულ უფლებას შეცვილებად კატეგორიად აქცევს, შეცვლილი გარემოებებია, ანუ როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძვლად უდევს ე.წ. გარიგების საფუძვლის დარღვევა ანუ ხელშეკრულების დადების შემდეგ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, მხარეები ჯერ უნდა შეეცადნონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ქონია ხელშეკრულების საფუძვლის ცვლილებას. მით უფრო, ადგილი არ ქონია შპს „თ. ქ.-ს“ მიერ ვალდებულების დარღვევას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. განსახილველ შემთხვევაში, არც პატივსადები ორმხრივი ინტერესია სახეზე. ამდენად, პალატა მიიჩვეს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლით ქვექირავნობის უფლების საფასურის უკან დაბრუნება გამორიცხულია. შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით:

1. ო. ნ.-ს და შპს „ი.-ს“ შორის 2008 წლის 13 ივნისის ხელშეკრულებით დამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმა დამქირავებლის მიმართ ფინანსურ პრეტენზიებს გამორიცხავს.

2. ო. ნ.-ს მიერ შეძენილი უფლება ფართის ქვექირავნობის თაობაზე შპს „ი.-ს“ გადაეცა, შესაბამისად, იქამდე სანამ შპს „თ. ქ.-ს“ და შპს „ი.-ს“ შორის ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს, ო. ნ.-ს მოთხოვნა აღნიშნულ თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაუსაბუთებელია.

3. ცალმხრივი ინტერესის გამო გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას არ იწვევს, ვინაიდან უკვე შესრულებული ითვლება ზიანად, რომელიც მხარეს არამართლზომიერად ხელშეკრულების შეწყვეტით მიადგა.

4. ცალმხრივი ინტერესის გამო გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას გამოიწვევს იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი, რომელიც ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას, ფართის იგივე პირობებით გაქირავებას უზრუნველყოფს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული

წინაპირობების წარმოშობის შემთხვევაშიც, რაღა თქმა უნდა, შესაფასებელი იქნება მხარეთა შორის დათქმა მასზედ, რომ ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა მეორე მხარის მიმართ ფინანსურ პრეტენზიებს არ იწვევს. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული ფართი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას ემსახურება. ასეთ შემთხვევაში, ნიშანდობლივია, რომ სამეწარმეო საქმიანობის არამომგებიანობა და ბიზნესის წარუმატებლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერი საფუძველი, ვინაიდან სამეწარმეო მიზნებისათვის ფართის დაქირავება იმთავითვე შეიცავს დამქირავებლის მხრიდან რისკის ელემენტებს, შესაბამისად, თუ არა სახელშეკრულებო დათქმა მასზედ, რომ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება დამოკიდებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის წარმატებაზე, ბიზნესის წარუმატებლობა გრძელვადიანი ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის მართლზომიერ საფუძველად ვერ იქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულება დაბრუნებას არ ექვემდებარება, ანუ პირვანდელი მდგომარეობა არ აღდგება ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობის გრძელვადიანი ხასიათის გამო, ხოლო წინასწარ გადახდილი შესრულება ჩაითვლება იმ ზიანში, რომელიც გამქირავებელს დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტით მიადგა. მით უფრო, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება ამგვარ დათქმას შეიცავს (იხ. 2008 წლის 13 ივნისისა და 2010 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულებების მე-5 პუნქტი). აღნიშნული წესი, რაღა თქმა უნდა, მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე და 399-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები.

შეჯამება:

საამართლო გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულებაზე უარი იდენტური ცნებებია, რომლის სამართლებრივი შედეგიც არის რესტიტუცია. ამავდროულად სასამართლო პრაქტიკა ადგენს, რომ ხელშეკრულებიდან

გასვლასთან ერთად შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. მოყვანილ სასამართლო პრაქტიკაში სწორად არის შეფასებული სამართლებრივი ინსტიტუტები, ჩანს, რომ სასამართლოც ხელშეკრულების მოშლასა და ხელშეკრულების შეწყვეტას იდენტურ ცნებებად მიიჩნევს. ასევე ნათლად არის ჩამოყალიბებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის და ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები და შედეგები. მოყვანილ მაგალითებში ჩამოყალიბებული მსჯელობა სრულად თანხვედრაშია ნაშრომის წინა თავებში გატარებულ აზრთან.

3. N3

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-220-209-2017. 20/04/2018 წ.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. დადგენილი გარემოებების სამართლებრივ ნორმებთან სუბსუმირების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი ინსტიტუტის არსსა და თავისებურებაზე. ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელშეკრულების შეწყვეტის, გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს, რომელთა შორის უმთავრესი სხვაობა მხარეთა პოსტახელშეკრულებო მდგომარეობაა. ხელშეკრულების/ვალდებულების შეწყვეტის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მხარეები ინარჩუნებენ მიღებულ სიკეთეს, მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება იყოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება, სხვა შესრულება და სხვა (დაწვრილებით იხ. სკ-ის 427-ე-454-ე მუხლები), რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლას, შეწყვეტისაგან განსხვავებით, ამ დროს კანონი ითვალისწინებს მხარეთა რესტიტუციის შესაძლებლობას (იხ. სკ-ის 352-ე-359-ე მუხლები) და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა გასვლის წინაპირობების შემოწმება (მოვალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა). უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზემოხსენებული სამართლებრივი კონსტრუქციის გარდა, შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა შეცვლილი გარემოებები. ასეთ დროს, გასვლა

დასაშვებია არა მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევის, არამედ, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას (თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა), შეცვლილი გარემოებების პირობებში კანონისმიერი მოთხოვნაა, რომ მხარეებმა სცადონ ხელშეკრულების მისადაგება ამ გარემოებებისადმი და, თუკი მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ გავიდნენ ხელშეკრულებიდან (სკ-ის 398.3 მუხლი: მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე). ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე მსჯელობისას, რა საფუძველითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, შესამოწმებელია ხომ არ არსებობს გასვლის გამომრიცხველი წინაპირობები (რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ კანონმდებლობაში, მაგალითად, სკ-ის 358-ე, 442-ე-447-ე მუხლები, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა). რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც ხსენებულ საკითხს არეგულირებენ, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია (მოშლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთავად უკავშირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირთა რესტიტუციას, იხ მაგ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა).

შეჯამება:

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტთან მიმართებით არასწორ მსჯელობას გვთავაზობს. პირველ რიგში

არასწორია იმიტომ, რომ მოშლის შემთხვევასაც ცალკე ინსტიტუტად განიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე და ამავდროულად ამბობს, რომ იგივეა რაც ხელშეკრულებიდან გასვლა. ამასთანავე მსჯელობა არასწორია იმ ნაწილში, რომ ხელშეკრულების მოშლის შედეგად რესტიტუციას ასახელს, და უთითებს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებშიც საკანონმდებლო ხარვეზია ტერმინილოგიური კუთხით.

4. N4

საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nას-38-38-2018 გადაწყვეტილება, 08/06/2018 წ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ბევრად ეხმაურება ევროგაერთიანების სამართალს. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მომწესრიგებელი ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად. დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების

გამოვლენით წარმოშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი. დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვი- იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხვდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. ამ უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამორიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დაწესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება.

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის

ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი; გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად ვადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილი ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მოცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება.

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა . ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო. თუ ვალდებულებები ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, რადგან მას არ ექნება ამის საფუძველი. თუმცა, სკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეს შეუძლია შესრულების ვადის

დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო (*datio pro solutio*), კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაყენებისთანავე გამოიყენებს (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est*). ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს მონაწილეთა შორის ახალ ვალდებულებას: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები განამტკიცებენ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუწესოს დამატებითი ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად. რაც განამტკიცებს ფაქტს, რომ მისთვის მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანულირება. სწორედ ამიტომ, კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესასრულებლად მოვალეს მიეცემა დამატებითი ვადა, ამ დროს კრედიტორი სარგებლობს შეზღუდული უფლებით გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო მოვალის ინტერესები კი გარკვეულწილად დაცულია (ანალოგიურადაა საკითხი გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 323-ე პარაგრაფით). ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრას გაუთანაბრდეს გაფრთხილება, რომლითაც კრედიტორი ავალდებულებს მოვალეს შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. გაფრთხილება ერთგვარი

შეხსენებაა ვადამოსული ვალდებულების შესასრულებლად. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც არ არის საჭირო ვალდებულებული პირისათვის არც დამატებითი ვადის დაწესება და არც გაფრთხილება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მხარეთა შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის და განსაზღვრავს ამ უფლების განხორციელების სამართლებრივ მართებულებას. სსკ-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც განსაზღვრული წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული. სსკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს.

შეჯამება:

მოყვანილი გადაწყვეტილება ზუსტად ასახავს და გვთავაზობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ წინაპირობებს და შედეგებს. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილება მიმაჩნია, რომ უნდა იქცეს სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკად და სწორე მასში ასახული დასკვნების შედეგად განხმორციელდეს მომდევნო სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა მსგავს საქმეებზე.

VI. ხელშეკრულების მოშლა და უარის მოწესრიგება უცხოური კანონმდებლობის მიხედვით

1. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის 11 აპრილის კონვენციაში, რომელიც საქართველოში ძალაშია პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“ არ გამოიყენება, თუმცა მისი სამართლებრივი ბუნებიდან

გამომდინარე აშკარაა, რომ კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის და არა ხელშეკრულების შეწყვეტის რეჟიმს. ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კონვენციით დადგენილია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის უმთავრესი წინაპირობა ვალდებულების დარღვევაა. თუმცა, კონვენციის თანახმად, მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოემოზა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა არის ფუნდამენტური (fundamental) ხასიათის.

„ხელშეკრულებიდან გასვლა ანუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა კონვენციის მიხედვით, უნდა დავყოთ, ერთი მხრივ, ხელშეკრულების არსებითი დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნად, და, მეორე მხრივ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნად ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო“. კონვენციის 49-ე მუხლით განსაზღვრულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეუძლია მხარეს განახორციელოს მეორადი მოთხოვნის უფლება. მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ენიჭება, თუ ხელშეკრულებით ან კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა გამყიდველის მიერ მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას ან თუ გამყიდველი არ მიაწოდებს საქონელს კონვენციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში ან განაცხადებს, რომ ვერ მიაწვდის საქონელს ამ წესით დადგენილ ვადაში.

კონვენციის 49-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მყიდველს, ერთი მხრივ, გათავისუფლდეს ნასყიდობის საგნისგან, შესაბამისად, მასზე თავდაპირველად დაკისრებული საპასუხო შესრულებისგან და, მეორე მხრივ, მოითხოვოს დამდგარი ზიანის მთელი ოდენობით ანაზღაურება. აღნიშნულს ასევე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როდესაც შესაძლებელია როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ასევე ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთდროულად.

2. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის მიმოხილვა

ევროპული სახელშეკრულებო სამართალი არ აწესებს მყარ მიჯნას „ხელშეკრულების შეწყვეტასა“ და „ხელშეკრულებიდან გასვლას“ შორის, ანუ არ არსებობს მკაცრად გავლებული ზღვარი ხელშეკრულებიდან გასვლას, რომლის შემდეგაც დგება რესტიტუციის ვალდებულება და ხელშეკრულების შეწყვეტას შორის, როდესაც მომავალში შესასრულებელი ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან მხარეები. ევროპული კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულების შეწყვეტის, როგორც მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია კრედიტორს მოვალის მხრიდან არსებითი დარღვევის შემთხვევაში. არსებითი იქნება დარღვევა, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არსებითად ართმევს კრედიტორს იმას, რისი მიღების უფლებაც ჰქონდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარეს არ შეეძლო წინარწარ გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულებას ვერ შეასრულებდა.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტისას აუცილებელია შეტყობინება მიუვიდეს მეორე მხარეს, ხოლო თუ ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები საფუძვლით ხდება, მეორე მხარისთვის შეტყობინება არ არის საჭირო და ხელშეკრულება შეწყდება ავტომატურად.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, შეწყვეტა ორივე მხარეს ათავისუფლებს მომავალი ვალდებულებებისგან და ამასთან, იგი არ ეხება იმ შესრულებას, რომელიც მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე (PECL 9:305.1). აღნიშნული დანაწესი ემსგავსება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტის რეჟიმს, რა დროსაც უკვე მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს არ უბრუნდებათ.

ფრანგული და ინგლისური სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად დგინდება ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამიჯვნის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებიდან გასვლას მიმართავენ თუ ურთიერთობიდან

გამომდინარე ვალდებულება ერთიანია და მისი გამიჯვნა შეუძლებელია, ხოლო თუ ვალდებულებები გამიჯვნადია მაშინ გამოიყენება ხელშეკრულების მოშლა.^{39 40}

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპები არ მიუთითებს კონკრეტულად ხელშეკრულების შეწყვეტისა ან ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ევროპულ კერძო სამართალში არსებული „ხელშეკრულების შეწყვეტა“ თავის თავში მოიცავს ორივე სამართლებრივ რეჟიმს.

3. გერმანული კანონმდებლობის მიმოხილვა

როგორც საქართველოს ისე გერმანიის კანონმდებლობა მხარეებს ავალდებულებს პირველ რიგში ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს მიუსადაგონ და მხოლოდ ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართონ ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტს.⁴¹ ვადამდე ადრე ხელშეკრულებიდან გასვლა კი შესაძლებელია თუ სახეზე ვალდებულების დარღვევა. გსკ⁴²-ის 346.1 მუხლი მხარეებს უფლებას ანიჭებს ხელშეკრულებიდან გავიდნენ, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დაარღვია იგი, ან იყო თუ არა დამრღვევი მხარე ბრალეული, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ფულადი კომპენსაციის ვალდებულებას ნებისმიერი მხარისთვის აწესებს იმის განურჩევლად ნივთის განადგურება ან ვალდებულების შეუსრულებლობა ვის გამო მოხდა.⁴³ სწორედ აღნიშნული ნორმის ანალოგიაა გადმოტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლში. რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას ასეთ ტერმინს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. გსკ ხელშეკრულების მოშლის ანალოგიურ ინსტიტუტს მოიხსენიებს ხელშეკრულების შეწყვეტის სახელით და ამ უფლების გამოყენების

³⁹ Burrows A. Understanding the Law of Obligations. Essays on Contract, Tort and Restitution. Hart Publishing, Oxford, 1998. pp. 46-47

⁴⁰ ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008, გვ. 120.

⁴¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე მუხლი.

⁴² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

⁴³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისის 2014, 241-259 გვ.

წინაპირობებად შეცვლილ გარემოებებს და მნიშვნელოვან საფუძველს აწესებს.⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთვევა, როდესაც შესაძლოა რესტიტუციის მდგომარეობა დადგეს პატივსადები მიზეზებით ხელშერულების მოშლის შემთხვევაში არ არის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული გერმანულ სამართალში და ეს საკითხი გერმანიის სამართალში პრაქტიკის მოწესრიგების საგანია.⁴⁵

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმის ანალოგიას ვხვდებით სსკ-ის 355 მუხლის სახით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ნორმის სათაურია „განცხადება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ“,⁴⁶ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისთვის გაკეთებული განცხადებით (გერმ: _ Erklärung⁴⁷). ეს მუხლი შეიცავს იმპერატიულ ნორმა შეტყობინების აუცილებლობის შესახებ და არ უშვებს გამონაკლისებს.

სწორედ გერმანიის კანონმდებლობიდან არის გადმოტანილი ქართულ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოტხოვნების კომბინირებულად გამოყენება.⁴⁸

გსკ. მხარეს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურებისაგან „ფორს მაჟორის“ და „გაუთვალისწინებელ“ შემთხვევაში⁴⁹. სსკ-ის 407-ე მუხლი მხოლოდ შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანს უქვემდებარებს ანაზღაურებას, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი არა მხოლოდ შეუსრულებლობაა, არამედ სხვა პატივსადები გარემოებაც შეიძლება იყოს. „მაშასადამე, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ

⁴⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასაწავლო კომენტარი, თბილისი 2014, 216-221 გვ.

⁴⁵ იხ: Kotz H. Flessner A. Weir T. European Contract Law, Vol. 1, 1997

⁴⁶ გსკ-ის 349-ე მუხლი

⁴⁷ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

⁴⁸ გსკ-ის 325-ე მუხლი

⁴⁹ Charman M. Contract Law. 4th edition. 2007. pp., 239.

სახელმწიფო ვალდებულების დარღვევიდან განპირობებული ხელშეკრულების მოშლის დროს.⁵⁰

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულმა თეორიულმა მოსაზრებებმა, სასამართლო პრაქტიკამ და უცხოური კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა გამოსწორების აუცილებლობაც დღის წესრიგში დგას. არსებული საკანონმდებლო ხარვეზები არაერთგვაროვნად აღიქმება როგორც სამართალმცოდნეების ასევე რიგითი ადამიანების მიერ, ამავდროულად არ არსებობს ჩამოყალიბებული და დადგენილი პრაქტიკა, რომელშიც ზუსტად იქნება გაანალიზებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულებაზე უარის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები.

ხელშეკრულების მოშლი და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების განხილვამ ცხადყო მათი გამიჯვნის პრობლემური ხასიათი. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ორი სამართლებრივი რეჟიმის შედარება და მათი მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა და მათი მოწესრიგების პრობლემების წარმოჩენა, ასევე გამოვლენილი ხარვეზების გადაჭრის გზების გადაწყვეტის სწორი გზების დასახვა. აღნიშნული საკითხი აქტუალური და პრობლემურია ქართულ სამოქალაქო სამართალში იმდენად, რამდენადაც კოდექსში არსებულ ხარვეზებთან ერთად ხშირია პრაქტიკაში მათი აღრევა, რაც თავისთავად სამოქალაქო სამართლის სუბიექტს უსამართლო მდგომარეობაში აყენებს. ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილდა ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის წარმოშობის იმ წინაპირობებზე, რომლებიც ამ ორ ინსტიტუტს განასხვავებენ. როგორც წესი, ეს ორი ინსტიტუტი გამოიყენება განსხვავებული ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში. ხელშეკრულების შეწყვეტა და მოშლა ხდება გრძელვადიანი ხელშეკრულებების დროს, როდესაც მხარეებს აკავშირებთ ხანგრძლივი სახელმწიფო ურთიერთობები, ხოლო

⁵⁰ ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. ავტორი ნინო ფიფია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018 წ.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობისთვის, ხელშეკრულების გრძელვადიანი ხასიათი არაა საჭირო. საკმარისია სახეზე იყოს ორმხრივი ხელშეკრულება და დადგეს ის წინაპირობები, რაც მეორადი უფლების განხორციელებას სჭირდება. განხილული ორი ინსტიტუტის ყველაზე მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არის სამართლებრივი შედეგები, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების მოშლისას და შეწყვეტისას გარდა სსკ-ის 399-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა რესტიტუციუას ადგილი არ აქვს, შესაბამისად მხარეთა ინტერესში რჩება უკვე შესრულებული, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეების ინტერესების სფეროშია ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. თუ მხარეთა ან სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდება სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა და გამოყენებულ იქნება ის სამართლებრივი რეჟიმი, რაც კონკრეტული ურთიერთობისთვის შეუსაბამო იყო, მხარეები მოექცევიან არასათანადო პირობებში რასაც, წესით, მათი სამართლებრივი მდგომარეობა არ ითვალისწინებდა.

სსკ-ის განხილვის შედეგად ხარვეზები აღმოჩნდა შემდეგ მუხლებში:

1. სსკ-ის 399-ე მუხლი. როგორც წესი, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში იყენებენ ტერმინს „ხელშეკრულების შეწყვეტა“ ან „ხელშეკრულების მოშლა“, ასევე სსკ-ის იმ ნორმებში (სსკ-ის 399 მუხლი), სადაც საუბარია გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის რეჟიმზე, გამოყენებულია ტერმინი „უარი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაზე“, რაც ხელშეკრულების გასვლას განსაზღვრავს და არასწორია. მოცემული ნორმის სათაური უნდა იყოს „გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა/მოშლა“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სსკ-ში ერთი და იგივე სამართლებრივი ინსტიტუტის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები „ხელშეკრულების მოშლა“ და „ხელშეკრულების შეწყვეტა“, ხოლო გსკ-ში გამოყენებული ტერმინი „Kündigung“ შეესაბამება სსკ-ს 399-ე მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას რომელიც გულისხმობს სწორედ ხელშეკრულების მოშლას. აქაც კანონის ადვილად გაგებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია ცნების - „ხელშეკრულების მოშლის“ - დატოვება და უარი უნდა ითქვას ტერმინზე „ხელშეკრულების შეწყვეტა“, ვინაიდან შეწყვეტის ინსტიტუტი წარმატებით

გამოყენებულია ვალდებულებით სამართალში ვალდებულების შეწყვეტის აღსანიშნავად. ამ ნორმით მოწესრიგებულია გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, აქედან გამომდინარე ამ მუხლში გამოყენებული ტერმინები: „ხელშეკრულებაზე უარი“ და „ხელშეკრულებიდან გასვლა“ - უნდა შეიცვალოს „ხელშეკრულების მოშლით“.

2. სსკ-ის 491-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და 492-ე მუხლში ტერმინი „მოშლა“ უნდა შეიცვალოს ტერმინი „გასვლით“. ამ მუხლებში საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებისას როგორც წესი არ ყალიბდება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად ამ მუხლების სათაურში და შინაარსში გამოყენებული ტერმინი „მოშლა“ უნდა შეიცვალოს ტერმინი „გასვლით“.

3. სსკ-ის 541-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი“, უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან ქირავნობის ხელშეკრულება გრძელვადიანი ურთიერთობაა და შესაბამისად მასზე ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის წესები.

4. სსკ-ის 636-ე და 637-ე მუხლის სათაურსა და შინაარსში გამოყენებულია „ხელშეკრულების მოშლა“, უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა“ რადგან როგორც ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა მუხლი ეხება ნარდობის ხელშეკრულებას, რომელიც მოკლევადიანი (კონკრეტულ შებრუნებად შედეგზე ორიენტირებული) სახელშეკრულებო ურთიერთობაა.

5. სსკ-ის 809-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 812-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით ტერმინს ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხოლო შინაარსიდან ირკვევა, რომ რეგულირებულია დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა. შესაბამისად „უარი“ უნდა შეიცვალოს „მოშლით“.

6. სსკ-ის 938-ე მუხლის 1-ლ და 2-ე ნაწილებში მითითებულია „უარი თქვას“ და „ხელშეკრულებიდან გასვლა“, ორივე შემთხვევაში უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან ნორმით მოწესრიგებულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე, რომელიც თავისი შინაარსით გრძელვადიანია და შესაბამისად ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის წესები. ასე რომ სსკ-ის 491-ე, 492-ე, 636-ე, 637-ე მუხლებში მითითებულია „ხელშეკრულების მოშლა“, უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა“. ხოლო სსკ-ის 399-ე, 541-ე, 809-ე, 812-ე, 938-ე მუხლებში მითითებულია „ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი)“ და უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“.

7. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი რეალურად წინაპირობაა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ისე მოშლის, თუმცა სსკ-ის 398.3-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად ეს ინსტიტუტი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა. რაც ასევე საკანონმდებლო დონეზე ცვლილებას საჭიროებს.

8. სამოქალაქო კოდექსი შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ კონკრეტულ მუხლებში მოიხსნიებს და არ გვამღევს საშუალებას შესრულების შეუძლებლობა მივიჩნიოთ, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ასევე მოშლის წინაპირობად. რათქმაუნდა შესრულების შეუძლებლობისას შესაძლოა ადგილი ქონდეს ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევას და თავად ეს მხარე იაზრებდეს მომავალში შესრულების შეუძლებლობის შემთხვევას და შედეგების მიხედვით სურდეს ან მოშლა ან გასვლა, მაგრამ ასეთის უფლებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების დამრღვევ მხარეს არ ანიჭებს. ეს დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 405-ე მუხლის ანალიზიდან, რადგან როდესაც სახეზეა ვალდებულების დარღვევა ერთი მხარის მიერ მეორე მხარეს/კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამასთანავე ყველა ნორმა რომელიც ვალდებულების დარღვევისას ითხოვს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას ამისამართებს სსკ-ის 405-ე მუხლზე.⁵¹

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოშლისა და გასვლის გამოყენების წინაპირობად გვთავაზობს ხელშეკრულების შინაარსის გრძელვადიანად ან და მოკლევადიანად მიჩნევას, რაც ვფიქრობ არასრულია გამიჯვნისათვის. უკეთესი იქნება თუ ფრანგული სა ინგლისური სამართლის მსგავსად ამ ინსტიტუტების გამოყენების წინაპირობად თავად შესასრულებელი ვალდებულებების ერთიანობას და გამიჯვნადობას შემოგვთავაზებდა.

10. სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს სხვადასხვა მუხლებში უნდა ვეძიოთ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია კოდექსში ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს დაეთმოს ცალკე თავი, რომელშიც, თანმიმდევრობით ჩამოყალიბდება ამ ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, შემდგომ წინაპირობები დაც შედეგები. რითაც იგი გაემიჯნება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტს. აქ ვხვდებით კოდექსის სტრუქტურულ ხარვეზს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რიგი თეორიული და პრაქტიკული მასალის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკითხის მოწესრიგების სწორი გზები, რაც საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკულ ასპექტში ასახვას საჭიროებს.

⁵¹ მაგალითად სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინტერნეტ ლექსიკონი.
www.nplg.gov.ge.
2. ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008.
3. ბერიშვილი ქ. ინტერნეტ სტატია – ხელშეკრულების შეწყვეტა VS ხელშეკრულებიდან გასვლა ქართული კანონმდებლობისა და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. www.legalclinic.iliauni.edu.ge.
4. ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
6. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისის 2014, გამომცემლობა GZT.
7. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, (მთარგმნელი ზ. ჭეჭელაშვილი), ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004.
8. ზოიძე, ბესარიონ / ნინიძე, თედო / შეგელია, რომან / ჭანტურია, ლადო / ხეცურიანი, ჯონი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.
9. თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი, სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბ., 2006.
www.gyla.ge.
10. თოდუა მ. და ვილემსი პ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2006.
11. კოტცი პ., ცვაიგერტი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ 2, თბ., 2000.

12. ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ . ავტორი ნინო ფიფია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018 წ.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის, 12 სექტემბრის განჩინება, საქმე 3კ/672–02.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 04 ივნისის განჩინება, საქმე Nას–12–12–2012.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის Nას-413-390-2014 გადაწყვეტილება.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-319-303-2011, თარიღი: 21.06.2011.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-220-209-2017. 20/04/2018 წ.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის Nას-38-38-2018 გადაწყვეტილება, 08/06/2018 წ.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-1001-1200-0825, თარიღი: 24.03.2009.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე № ას-292-573-04, თარიღი: 22.07.2004.
21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებანი. www.supremecourt.ge.
23. საქმე №ას-760-1396-03 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, ბიულეტენი №3, გვ. 614, 2004 წელი.
24. საქონლის საერთაშორისო ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის 11 აპრილის კონვენცია.
25. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენცია. ვენა 23.05.1969. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf>.
26. სურმავა თ. შრომითი ხელშეკრულების მოშლა. // სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბ., 2011.

27. ფიფია, ანა, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008.
28. ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. <http://gil.ge/gergeo.php>.
29. შენგელია ვ. ინტერნეტ სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება. www.iuristebi.ge.
30. ცისკაძე მ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი IV, ტომი II.
31. ჭანტურია ლ. და სხვები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001.
32. ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი. (შედარებით სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე). მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ., ბონა კაუზა. 2014.
33. Burrows A. Understanding the Law of Obligations. Essays on Contract, Tort and Restitution. Hart Publishing, Oxford, 1998.
34. Bürgerliches Gesetzbuch. (Deutschland). 18.08.1896. www.gesetze-iminternet.de.
35. Charman M. Contract Law. 4 th edition. 2007.
36. Civil code (france). 1804. www.lexinter.net.
37. Geoffrey S. Law of Obligations and Legal Remedies. London. Cavendish Publishing Limited. Second edition. 2001.
38. Martin Schmidt-Kessel, remedies for Breach of Contract in European Private Law – Principles of European Contract Law, AcquisCommunautaire and Common and Frame of Reference, New Features in Contract Law, Reiner Schulze (Ed.), Sellier European Law Publishers, 2007.
39. Virgo G. The Principles of the Law of Restitution. third edition (chapter _Restitution for Breach of Contract). Oxford. 2006.